ეროვნული
ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 თებერვალი 2005 №34 (2357) ფასი 50 თეთრი




**კლანიელმა ქართველებმა პედრო დალეჭეს**

ბურდულმა და კვირკველიამ უკვე გაიტანეს

6

# პანიონიოსი — დინამო

## ჰოიზერის დამღერებულის გამო ძიება გრძელდება



ათენის „პანიონიოსისა“ და თბილისის „დინამოს“ პირველი დეკემბრის მატჩის გამო ატეხილი სკანდალი და უეფას გამოძიება გრძელდება.

ერთი ხანობა „პანიონიოს“ — „დინამოს“ საქმე თითქოს მიჩუმათდა, მაგრამ ახლა, გერმანელი მსაჯის რობერტ ჰოიზერის თაღლითობაში მხილებისა და დაპატიმრების შემდეგ, ახალი ძალით იფეთქა.

ჰოიზერმა აღიარა, რომ გერმანიის მეორე ბუნდესლიგასა და რეგიონალლიგებში მართლაც იმსაჯა რამდენიმე ისეთი მატჩი, რომელთა შედეგები „შეკვეთილი“ იყო. თქვა ისიც, ავსტრიასა და საბერძნეთშიც ბევრია გარიგებული თამაშიო.

უეფასაც მეტი რაღა უნდოდა... „საბერძნეთში უკვე გავგზავნეთ ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც „პანიონიოს“ — „დინამოს“ მატჩის თაობაზე დაწვრილებით ინფორმაციას მოიპოვებს. ის ასევე გამოიკვლევს, რა კავშირი აქვს ჰოიზერის ნათქვამს „პანიონიოს“ — „დინამოს“ თამაშთან“ — განუცხადა გუშინ „როიტერს“ უეფას ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

სააგენტოს ამ ცნობაში ჩვენთვის სხვა საინტერესო არაფერია, თუმც მეტი რაღა უნდა იყოს. უეფამ საქმეს მართლაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი და ვინძლო, „პანიონიოს“ — „დინამოს“ თამაშში მტყუან-მართალი გაირკვეს.

# კობიაშვილის შალკემ შახტარს იმედი დაუნახშირა



**რუსული საყვედური**

ასათიანმა რუსეთი საქართველოს დაატოლა

3






**დაიტირეს სტენლის თასი**

15

მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ თბილისის „ლოკომოტივში“ მწვრთნელი შეიცვალა — ზაურ სვანაძის ნაცვლად გუნდი ჯემალ ჩიმაკაძემ ჩაიბარა. ჩიმაკაძის ხელში გაიარა „ლოკომოტივმა“ საშუასეზონო შეკრება ტრაპიზონში, მაგრამ ჩიმაკაძის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ გუნდს ნოდარ აკობია ჩაუყენეს სათავეში. მან კი თავის თანაშემწედ კახა კაჭარავას უხმო.

აკობიას გუშინ „ლოკომოტივის“ ბაზაზე ვესტუმრეთ და ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ



# როგორი იქნება აკობიას ლოკომოტივი
## მაინც დინამო და ისევ თბილისი

— როგორი იქნება ნოდარ აკობიას „ლოკომოტივი“?

— მებრძოლი და კომბინაციური.

— ზაურ სვანაძის ხელში „ლოკომოტივი“ უფრო დაცვაზე აკეთებდა აქცენტს — მიგაჩნიათ, რომ გუნდის საძირკველი დაცვაა?

— ეგრეა, გუნდის შენება დაცვიდან იწყება. პირველ რიგში საიმედო დაცვა უნდა გვყავდეს.

— „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ალეკო გოგობერიშვილი სეზონის ბოლომდე დარჩება გუნდში?

— გოგობერიშვილმა გვითხრა, რომ მის წასვლას ყოველდღე უნდა ველოდოთ და თუ სხვაგან გადასვლას დააპირებს, ხელს არ შევუშლით. მეორე ეტაპის პირველ ტურში „ტორპედოსთან“ კი გოგობერიშვილი ნაღდად ითამაშებს.

— ჩიმაკაძის მიერ „ლოკომოტივში“ მოყვანილ ბრაზილიელებზე რა აზრის ხართ?

— რამონი და ჟეანი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, ბრაზილიაში ისინი მოყვარულთა გუნდში თამაშობდნენ და თან მუშაობდნენ. რამონი ნახევარმცველია, ჟეანი კი სწრაფი ფორვარდი.

— ისინი პროფესიულ დონეზე თამაშს ახლავე შეძლებენ?

— მათ თურქულ შეკრებაზე ითამაშეს საკონტროლო მატჩები და, მგონი, უნდა შეძლონ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში. ბრაზილიაში ისინი კვირაში ორჯერ ვარჯიშობდნენ, ახლა კი ყოველდღიური ვარჯიშები აქვთ, რეჟიმში არიან და იმედი მაქვს, რომ საკუთარ თავს კარგად წარმოაჩენენ.

— ჩიმაკაძემ „ლოკომოტივში“ ქართველ ახალგაზრდებსაც უხმო და ამბობდა კიდეც, ოთხი მათგანი მალე გუნდის ძირითადში მოიკიდებს ფეხსო...

— კახელიშვილს, ფოფხაძეს, სეთურიძეს და ალავერდაშვილს მივცემთ იმის საშუალებას, რომ ძირითადში თამაშს შეეჩვიონ.

— „ლოკომოტივს“ რა კონკრეტული მიზანი აქვს მიმდინარე სეზონში?

— ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილი უნდა დავიკავოთ — ახლა მეხუთეზე ვართ და ამ შედეგის გაუმჯობესებას ვეცდებით. თუმც განსაკუთრებით თასზე გვსურს წარმატების მიღწევა, თანაც თბილისის „დინამო“ თასიდან გავარდა...

— და მიგაჩნიათ, რომ ჩემპიონობის უმთავრესი ფავორიტი „დინამოა“?

— ჩემპიონობის საუკეთესო შანსი მართლაც „დინამოს“ აქვს. ამ გუნდს ისედაც ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა და კიდევ უფრო გაძლიერდა.

— საბჭოთა კავშირის და ეროვნულ ჩემპიონატებს თუ დავაჯამებთ, „დინამოში“ 14 წელი იმუშავეთ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ. როგორ შეადარებდით ახლანდელ და ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე იმ „დინამოს,“ რომლის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყავით?

— მაშინ „დინამო“ ქულათა დიდი სხვაობით უსწრებდა მდევრებს და ისე ხდებოდა ჩემპიონი. იმდროინდელი „დინამო“ უფრო ხარისხიანი გუნდი იყო, ეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან გამოყოლილი ინერციითაც იყო განპირობებული. თუმცა ახალი თაობაც ძლიერი მოდიოდა.

— როგორ ფიქრობთ, მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპზე რომელი იქნება ყველაზე საინტერესო და ახალგაზრდული გუნდი?

— ისევ „თბილისი“. ამ გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი კი წავიდა, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდები კიდევ ჰყავთ. დიდი სხვაობა ახლანდელ და უწინდელ „თბილისს“ შორის არ იქნება. მიმაჩნია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა გუნდის რეორგანიზაცია მოახდინა.

— მეორე ეტაპის პირველი მატჩი ქუთაისში „ტორპედოსთან“ გელით — კარში დავით გვარამაძეს ჩააყენებთ თუ ექსტორპედოელ ზვიად სტურუას?

— ამ საკითხზე მოვილაპარაკებთ და გვარამაძისა და სტურუას აზრსაც გავითვალისწინებთ.

— ქუთაისში ფრედ რომ ითამაშოთ, კმაყოფილი დარჩებით?

— კი, რადგან „ტორპედოს“ ძალიან კარგი შემადგენლობა ჰყავს.

— „ლოკომოტივში“ ფინანსური პირობები როგორია?

— ისეთივე, როგორიც შარშან იყო.

— „ლოკომოტივი“ კვლავ ოთხკაციანი დაცვით ითამაშებს?

— ეგრეა. დაცვაში ზურაბ ექონია, ნუკრი მანჩხავა, გიორგი ონიანი და მიხეილ მახვილაძე იქნებიან.

— „ლოკომოტივიდან“ ლადო ბურდული წავიდა და ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგს ვის ანდობთ?

— ვნახოთ, ჟეანსაც შეუძლია ამ პოზიციაზე თამაში, ის ძალიან სწრაფია.

**დავით თავართქილაძე**



ბრაზილიელი მოყვარულები ჟეანი და რამონი „ლოკომოტივით“ კმაყოფილები არიან

# ალანიელმა ქართველებმა პედრო დალეწეს

**უკვე იცით,** რომ ვლადიკავკაზის „ალანიას“ ხუთი ქართველი ფეხბურთელი ჰყავს: ვიტალი დარასელიას და ლევან გვაზავას წლეულს ჯერ ლადო ბურდული, მერე კი ჯაბა კანკავა და დავით კვირკველია შეემატნენ. მოკლედ, „ალანიას“ ნახევარდაცვა ქართულად ათამაშდება.

და უკვე ათამაშდა კიდეც: ესპანურ კურორტ მარბელაზე ბახვა თედეევის გუნდმა იქაური მესამედივიზონელი „სან პედრო“ გამოიჭირა და 4:1 მიანგრია. ხუთი ქართველიდან მხოლოდ ვიტალი დარასელიას არ უთამაშია — იგი გერმანულ შტუტგარტშია სამედიცინო შემოწმებაზე.

„ალანიამ“ ორი შემადგენლობა დაუპირისპირა „სან პედროს“, პირველ ტაიმში მხოლოდ ბურდულმა ითამაშა და მერე როგორ... ლადომ ახლახან დიდი პირადი ტრაგედია გადაიტანა, მაგრამ გუშინ მაინც საუკეთესო იყო მოედანზე — მე-18 წუთზე ჯერ მოლდოველ დადუს გაატანინა, ათ წუთში კი თავადაც შეაგდო და ანგარიში 2:0 გახადა.

მეორე ტაიმში კანკავა, კვირკველია და გვაზავაც გამოჩნდნენ. „სან პედროს“ მესამე გოლი სწორედ კვირკველიამ გაუტანა, რომელიც, კანკავას მსგავსად, სადებიუტო მატჩს ატარებდა ოსურ კლუბში. დათომ 62-ე წუთზე ჯაბას პასით იხეირა, ერთი მცველი მოატყუა და ცხრიანში შეაგდო.

მალე კი გვაზავას გადაცემა ალან კუსოვმა შეირგო და თედეევის გუნდი 4:0 დაწინაურდა. ესპანელებმა ბოლო წუთზეღა შეაგდეს პრესტიჟისა...

საინტერესოა, რომ „ალანიას“ გენერალურ დირექტორ ალექსანდრ ალბეგოვს გუნდის მესვეურებისთვის უთქვამს, კანკავას და კვირკველიას ყურადღება მიაქციეთ, ახალ სეზონში ამ ბიჭებმა ძლიერად უნდა ითამაშონო. მხედველობის დაძაბვა არავის დასჭირვებია — ქართველმა ახალწვეულებმა თავიანთი თამაშით უკვე მიიქციეს სხვების ყურადღება.

**ილია ნანობაშვილი**

# ბათუმი — ზესტაფონი: დრო დაითქვა

**საქართველოს** თასის მერვედფინალის ორგზის გადადებული საპასუხო მატჩი „ზესტაფონი“ — „დინამო“, როგორც იქნა, ჩატარდა და ახლა მომდევნო ეტაპის ჯერია.

დავაზუსტოთ: მეოთხედფინალში ერთადერთი წყვილია დარჩენილი — „თბილისი“, „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ უკვე ნახევარფინალში არიან.

მოკლედ, „დინამოს“ მომნელებელი „ზესტაფონი“ ახლა „ბათუმს“ შეერკინება და სწორედ ამ ორმატჩიან დუელში გაირკვევა მეოთხე ნახევარფინალისტის ვინაობა.

პროფლიგის გადაწყვეტილებით, „ზესტაფონი“ ბათუმს 21 თებერვალს ესტუმრება, საპასუხო მატჩი კი 8 მარტს გაიმართება.

**კახა შალამბერიძე**

# უეფას თასი
UEFA CUP

1/16 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

**შახტარი (უკრაინა) 1:1 შალკე (გერმანია)**

0:1 აილტონი (7), 1:1 ბრანდაუ (86)

**შახტარი:** ლაშტუვკა, სრნა, ჰუბშმანი, ლევანდოვსკი, რაცი, ტიმოშჩუკი, დულიაი (ელანო 46), მატუზალემი, ვუკიჩი (ჟადსონი 74), ბრანდაუ, აგაჰოვა

**მწვრთნელი:** მირჩა ლუჩესკუ

**შალკე:** როსტი, უდე კამპუისი, ვალდოხი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, ალტინტოპი (ასამოა 76), პოულსენი, ვერმანტი, კობიაშვილი, აილტონი, სანდი (ჰანკე 81)

**მწვრთნელი:** რალფ რანგნიკი

**გაფრთხილება:** ტიმოშჩუკი, ალტინტოპი, ასამოა

**მსაჯი:** ესპენ ბერნსტენი (ნორვეგია)

20 000 მაყურებელი

**პარტიზანი (სერბეთი) 2:2 დნიპრო (უკრაინა)**

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 1:0 სევილია (ესპანეთი)**

**აიაქსი (ჰოლანდია) 1:0 ოსერი (საფრანგეთი)**

**პარმა (იტალია) 0:0 შტუტგარტი (გერმანია)**

**ვალენსია (ესპანეთი) 2:0 სტიაუა (რუმინეთი)**

**სპორტინგი (პორტუგალია) 2:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია)**

**ავსტრია (ავსტრია) — ბილბაო (ესპანეთი)** *დიდთოვლობის გამო გადაიდო*

## იტალია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

*ინტერი* 3:0 ატალანტა (1:0)

სერია C1/A. XXIV ტური

აკირეალე 0:0 ფ. ანდრია
გროსეტო 1:0 ვიტორია
ლუმეცანე 1:1 პისტოიეზე
პავია 1:0 პრატო
პრო პატრია 0:0 სანჯოვანეზე
ს. ტორესი 0:1 ფროზინონე
ლუკეზე 1:2 კრემონეზე
მანტოვა 1:2 კომო
სპეცია 2:0 პიზა

## ინგლისი

II ლიგა. გადადებული მატჩი

ბოსტონი 0:2 ლინკოლნი

## შოტლანდია

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება

კილმარნოკი 1:3 *ჰართსი*

## ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი

*ატლეტიკო* 1:0 ნუმანსია (0:0)

## საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი. I მატჩი

პტოლემაიდა 3:2 კასტორია

# რუსული საყვედური

## Асатиани, говори по русски



*„შარშანწინ იტალიურ ჩოკოში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთად პირველად მოვარჯიშე მალხაზ ასათიანმა მწვრთნელ იური სიომინისგან ასეთი სიტყვები გაიგო: „საფეხბურთო გვარი გაქვს, ახლა კი ვნახოთ, მოედანზე რა შეგიძლია“. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, მალხაზს მოედანზე ძალიან ბევრი შეუძლია. თუნდაც ის რად ღირს, რომ ასათიანს აქვს უნარი, საქართველოს ნაკრებში შემტევ ნახევარმცველად თამაშის შემდეგ „ლოკომოტივში“ ცენტრალური მცველის ფუნქციები შეასრულოს და პირიქით. სხვაგან სად ნახავთ ისეთ უნივერსალს, ვისაც თანაბრად კარგად ეხერხებოდეს შეტევაც და მეტოქის იერიშების ჩაშლაც?! ასათიანს, ალბათ, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — ის რუსულად კარგად ვერ ლაპარაკობს. როცა ინტერვიუზე შევთანხმდით, მკითხა: „დიდი ხანი დაგვჭირდება?“ ვუპასუხე, ოცი წუთი-მეთქი, პასუხად კი მომიგო: „ამდენი რუსული სიტყვა არც ვიცი“. ცხადია, ეს ქართული ხუმრობა იყო, ნახევარ საათსაც უპრობლემოდ ვისაუბრეთ“...*

*აი, ასეთი შესავალი აქვს წამძღვარებული მალხაზ ასათიანთან ინტერვიუს, რომელიც გუშინ რუსულმა გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა“ გამოაქვეყნა, ჩვენ კი იმად გადმოვაქართულეთ, რომ, ცხადია, თქვენც დაგაინტერესებდათ.*

*ჟურნალისტი იური ბუტნევი მალხაზ ასათიანს ესპანურ კურორტ ლა-მანგაში შეხვდა, სადაც მოსკოვის „ლოკომოტივი“ მოსამზადებლად წლეულს უკვე მეორედაა*

### უსაფუძვლო შიშები

— ამ შეკრებაზე დიდი დატვირთვები გაქვთ?

— საკმაოდ, თუმც ისეთი არა, როგორიც იანვარში. აქ ბევრი ამხანაგური მატჩი გვექნება. თამაში კი ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე ვარჯიში.

— არ მოგწყინდათ ლა-მანგაში? აქ ხომ იანვარშიც იყავით.

— აქ ისეთი პირობებია, ვერ მოიწყენ. არ ვიცი, კიდევ სად არის ამდენი ხარისხიანი მოედანი.

— მას შემდეგ, რაც „ლოკომოტივში“ ცენტრალურ მცველად თამაშობთ, შეტევაში იშვიათად ერთვებით. ამას სიომინი გიკრძალავთ?

— არა, არც მთლად ასეა. თუ საშუალება მაქვს, შეტევაშიც ვმონაწილეობ. უბრალოდ, ჩემი წინ წასვლით გუნდი არ უნდა დაზარალდეს.

— სათამაშო პოზიციის ცვლას უპრობლემოდ როგორ ახერხებთ?

— თავიდან პარტნიორები მეხმარებოდნენ, გამოცდილებას მიზიარებდნენ, თეორიულ მეცადინეობებზეც ბევრი ვისწავლე, თუმც მაინც მეშინოდა, ეგებ მცველად თამაში არ გამომივიდეს-მეთქი. სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული, დავრჩებოდი თუ არა „ლოკომოტივში“. როგორც გამოჩნდა, ჩემი შიშები უსაფუძვლო ყოფილა.

— მართალია, რომ ცენტრალურ მცველად თქვენი დაყენება სიომინს მისმა თანაშემწე ვლადიმირ ეშტრეკოვმა ურჩია?

— არ ვიცი, თუმც ჩემპიონთა ლიგაში „მონაკოსთან“ მატჩამდე სამი დღით ადრე სწორედ ეშტრეკოვმა მითხრა, ცენტრალურ მცველად ითამაშებო.

— ითამაშეთ და ფურორიც მოახდინეთ...

— ეს უკვე ნამეტანია.

— არადა, თავიდან „ლოკომოტივში“ პრობლემები გქონდათ.

— მხოლოდ იმიტომ, რომ არ მათამაშებდნენ, თორემ ბიჭებთან არანაირი პრობლემა არ მქონია. ძალიან მეგობრული გუნდი გვყავს.

### ოთხი ოქრო

— შარშანდელ სეზონში ბევრი კარგი მატჩი გქონდათ. საუკეთესო რომელი იყო?

— ცეესკასთან საჩემპიონო მატჩი. ერთი იმიტომ, რომ დაძაბული და, ცხადია, პრინციპული შეხვედრა იყო, მეორეც, არმიელებს ორი ძალიან ძლიერი ფორვარდი ჰყავთ, ვაგნერი და ოლიჩი. ხან ერთის წინააღმდეგ ვთამაშობდი, ხან მეორის. მაგრად გამიჭირდა.

— „ლოკომოტივამდე“ ჩემპიონი ყოფილხართ?

— სამჯერ, სამჯერვე საქართველოში, ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად. ბოლო ოქრო ბოლო ტურში თბილისის „დინამოსთან“ გამარჯვებამ მოგვიტანა. ვინც მოიგებდა, ჩემპიონიც ის იქნებოდა. ჩემი გატანილი პენალტით კი „ტორპედომ“ მოიგო.

— ჩანს, პენალტის დარტყმაც გეხერხებათ.

— „ტორპედოში“ თამაშისას პენალტი რამდენჯერმე დავარტყი და ყველა გავიტანე.

— „ლოკომოტივში“ რატომ არ ურტყამთ?

— ჩვენ სასარგებლოდ პენალტები ისედაც იშვიათად ინიშნება და ისიც მე შევასრულო?! „ლოკომოტივში“ უჩემოდაც არიან პენალტის ოსტატები, მაგალითად, ლოსკოვი. რაც გუნდში ვარ, მას პენალტი არ გაუცუდებია, რკინის ნერვები აქვს.

— როგორი მცველები მოგწონთ, ხისტები თუ ტექნიკურები?

— ყველა მცველი მომწონს, ვინც „ლოკომოტივში“ თამაშობს და კიდევ სპარტაკელი ვიდიჩი.

— უცხოელებიდან?

— სერია A-ში არიან კარგი მცველები და საერთოდ, იტალიის ჩემპიონატი ევროპაში საუკეთესოა. ინგლისში, გერმანიაში და ესპანეთში კი დაახლოებით ერთი დონეა.

— რომელ პოზიციაზე თამაში გირჩევნიათ, შემტევ ნახევარმცველად თუ ცენტრალურ მცველად?

— გუნდის ინტერესების გათვალისწინებით, სადაც საჭირო ვიქნები, იქ ვითამაშებ, თუმც, რომ გითხრათ, გოლების გატანა და საგოლე პასების კეთება არ მსიამოვნებს-მეთქი, ტყუილი იქნება.

— რუსი ქომაგები დღემდე ვერ ივიწყებენ იმ გოლს, რომელიც ჩვენს ნაკრებს თავით გაუტანეთ.

— ეს გოლი მეც კარგად მახსოვს. ჯერ ერთი, ჩემმა გუნდმა მოიგო და მეორეც, სწორედ ამ მატჩის შემდეგ სიომინმა პირველად მათამაშა ფორვარდად. თუმც ექსპერიმენტმა არ გაუმართლა.

— ჩანს, მეკარის გარდა ყველა პოზიციაზე გითამაშიათ.

— აი, ასეთი ექსპერიმენტები კი საჭირო აღარ არის. ნამდვილად ვიცი, მეკარე ჩემგან არ დადგება.

### ასმეათე

— როგორც ვიცი, საქართველოში ყველა ბავშვის ოცნებაა იყოს, თბილისის „დინამოს“ მაისური მოირგოს. თქვენც ამაზე ოცნებობდით?

— მაგრამ ასეც არ ყოფილა. ქუთაისელი ბიჭები „ტორპედოს“ ფეხბურთელებს ვაღმერთებდით. „დინამოს“ ინტერესი კი მერე გამიჩნდა, როცა უკვე პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდი. შემეძლო კიდეც „დინამოში“ გადასვლა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მოლაპარაკება ჩაიშალა და თბილისის ნაცვლად მოსკოვში აღმოვჩნდი.

— თქვენს მშობლებს ფეხბურთი უყვართ?

— ახლა — კი. თუმც, როცა პატარა ვიყავი, მეუბნებოდნენ, სკოლაში კარგად ისწავლე, ფეხბურთით ვერ იცხოვრებო. მე მათ არ ვუსმენდი და, როგორც აღმოჩნდა, სწორიც გამიკეთებია.

— ნათქვამია, ჩვენ ყველას ოდესღაც და რაღაც გვისწავლია...

— დასამალი რა მაქვს, ცოტა ზარმაცი მოსწავლე ვიყავი. თუმც რუსულის გაკვეთილებს არ ვაცდენდი.

— ეს გაკვეთილები რით გიზიდავდათ?

— რუსი პოეტების ლექსები მომწონდა. მართალია, ახლა ლექსებიც დამავიწყდა და რუსულად ლაპარაკიც, მაგრამ ბავშვობაში რუსული კარგად ვიცოდი.

— „ლოკომოტივში“ უკვე მესამე ქართველიც გამოჩნდა. აქამდე თუ იცნობდით მათე ლვინიანიძეს?

— არა, „ლოკომოტივში“ გავიცანი. კარგი ბიჭია, სამნი უფრო ვმხიარულობთ.

— რუსეთში მოთამაშე კიდევ რომელ ქართველთან მეგობრობთ?

— ლომაიასთან და აბრამიძესთან. მოსკოვში ხიზანეიშვილსაც ხშირად ვნახულობდი, მაგრამ ის გერმანიაში წავიდა და ახლა ერთმანეთს მხოლოდ სანაკრებო შეკრებისას თუ ვხვდებით.

— თქვენი გვარი რუსულად თუ ითარგმნება?

— დაახლოებით ასე — ასმეათე.

— ესე იგი, ღმერთმა ინება, რომ სწორედ ამ ნომრით ითამაშოთ!

— ამაზე არც მიფიქრია. თან, როგორც ვიცი, რუსეთში სამნიშნა ნომრით თამაში არ შეიძლება.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე ოდესმე ითამაშებს?

— ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად მოხდება. ტალანტების რაოდენობით ხომ საქართველო არც რუსეთს ჩამორჩება, არც უკრაინას.

— ამ შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრებს მეორე ადგილზე გასვლის შანსი აქვს?

— რა თქმა უნდა, აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გუნდი ამის იმედადაა და საამისოდ სერიოზულად ვართ განწყობილნი.

## თქვენი ინტერვიუ

# შოთა არველაძესთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორე ეტაპი: წარდგენა წარმოდგენამდე

# ფეროს ფერი აქვს ნათელი

აგერ, მესამე დღეა, „ზესტაფონის“ საქებარი სიტყვები არავის ენანება. ფეროელებმა ზამთარში მიძინებული სათასო-საჩემპიონატო სეზონი სენსაციური მოგებით გამოაღვიძეს, თასის მერვედფინალიდან თვით თბილისის „დინამო“ დაიფრინეს და ჩემპიონატის მეორე ეტაპს დიდ გულზე ეგებებიან.

„ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ მშვენივრად იცის, როგორ უნდა მართოს კლუბი. ფეროელებს ფინანსურად არ უჭირთ, პირიქით, ამ მხრივ საქართველოში ბევრი ვერ დაუდგებათ გვერდში და აგერ, ზამთარში გაჩარხული ტრანსფერებიც ამის დასტურია. ზესტაფონელებმა ანთალიაშიც ნაყოფიერი შეკრება გაიარეს, 9 ტესტ-მატჩი გამართეს და სერბულ თუ ხორვატიულ კლუბებსაც კი ტოლსწორად ეთამაშნენ.

ცალკე თემაა გუნდის მთავარი მწვრთნელი: თემურ მახარაძე ქართულ ფეხბურთში მრავალნაცადი კაცია, რაგინდარა ჩვენებურ კლუბში კარგი შედეგებისთვის მიუღწევია და შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც მისი შარშანდელი ბოლნისური საქმიანობა გავიხსენოთ. მახარაძემ პირველი ეტაპის შუაწელს ჩაიბარა „ზესტაფონი“, იმ დროს, როცა სატურნირო ცხრილში ფეროელებს ყველა გუნდი ზემოდან დაჰყურებდათ. მერე იყო ხმაურიანი მოგება თბილისში „ლოკომოტივთან“, ასევე „ვიტ ჯორჯიას“ წაქცევა და იმერლები მეშვიდე ადგილამდე აცოცდნენ. დიდი არითმეტიკა არ სჭირდება იმას, რომ „ზესტაფონი“ ჩემპიონატის ლიდერთა მარაქაში წლეულს ვერ გაერევა, მაგრამ არსებობს მეორე საევროპო მარშრუტი: თასის აღება და უეფას თასზე გასვლა.

და მაინც, კლუბის ხელმძღვანელობა ევროპაში გასვლას სიფრთხილით ეკიდება, მაგრამ მთავარი ამოცანა უკვე შეასრულეს — ზესტაფონს ფეხბურთი დაუბრუნეს. ღმერთმა ქნას, ეს ბუმი დიდხანს გაგრძელებულიყოს და ერთხელ უკვე მწარედ ნანახი — ზესტაფონში ფეხბურთის ჩაკვლა — აღარ გამეორებულიყოს.

ახლა ფეროულ ტრანსფერებზე შევჩერდეთ: საპირველეტაპო „ზესტაფონიდან“ გუნდში 11 ფეხბურთელი დარჩა, დაახლოებით ამდენივეც წავიდა. ახალწვეულებს არ იკითხავთ? მეკარე ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი იყო გუნდში, ახლა კი „კოლხეთიდან“ გამოცდილი ზურაბ ქვაჩახია მოვიდა და დიდი შანსია, დღე-დღეზე საქართველოს ნაკრების გოლკიპერი აკაკი დევაძეც „ზესტაფონში“ ჩაირიცხოს.

დაცვა გამოცდილი სევასტი თოდუათი, ფოთელი შალვა ლონლაძითა და ახალგაზრდა თენგიზ ჩიკვილაძით შეიკრა. ჩიკვილაძე პირველ ეტაპზე „ბათუმში“ თამაშობდა, ამ ზამთარს კი ქუთაისის „ტორპედოში“ აპირებდა გადასვლას და ოთარ გაბელიას გუნდს ანთალიურ შეკრებაზეც გაჰყვა, თუმც „ზესტაფონმა“ სულ ბოლო მომენტში აცალა მეზობლებს იგი და „დინამოსთანაც“ ათამაშა. ნახევარდაცვაში მთავარი შენაძენი რკინისმკვნეტელი საყრდენი ვალტერ გუჩუა და ახალგაზრდა გიორგი განუგრავა არიან, ხოლო უკრაინამოვლილი კახა ჩხეტიანის გაზესტაფონელება ჯერ კიდევ სამი თვის წინ გადაწყდა.

თავდასხმაში კი მთავარმეგოლე 32 წლის ზურაბ იონანიძე იქნება, რომელმაც „დინამოსთან“ უკვე დაიქუხა და მეოთხედფინალში გამსვლელი ბურთი შეაგდო. ახალშეძენილთა შორისაა ჭაბუკი ბექა გოცირიძეც. ეს ბიჭიც ფხიანად გამოვიდა იმავ „დინამოსთან“ შეცვლაზე და თუ ამათ სწრაფ ზაზა ზირაქიშვილსაც დავუმატებთ, ფეროელებს წინა ხაზზე პრობლემები არ უნდა შეექმნათ.

მოკლედ, გუნდი ყველა ხაზში დაბალანსებულია. თემურ მახარაძეს მხოლოდ შეთამაშების ამბავი აწუხებს — სრულიად ახალი ფეხბურთელები გვყავს და ჯერ მთლად დალაგებულად ვერ ვთამაშობთო. მახარაძე პროგნოზებსაც ფრთხილად ეკიდება.

„ჩემპიონატში ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, არც თასზე გველის იოლი მატჩები. ყველაფერს მომავალი გამოაჩენს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ გუნდის დღევანდელი ბირთვით კმაყოფილი ვარ. „დინამოს“ დამარცხებით კარგი ფსიქოლოგიური ფონიც შევიქმენით, რაც მომდევნო მატჩებში უნდა დაგვეტყოს. ანთალიური შეკრება ძალიან წაგვადგა. გარდა იმისა, რომ ტესტ-მატჩები ძლიერ მეტოქეებთან გავმართეთ, გუნდის ძირითადი შემადგენლობაც ჩამოყალიბდა“ — ამბობს „ზესტაფონის“ თავკაცი.

ერთი სიტყვით, „ზესტაფონი“ სალაპარაკო თემა გახდა. ფეროელთა ქალაქი ფეხბურთით ცხოვრობს და მახარაძის გუნდი საქართველოს თასს ხელში თუ ჩაიგდებს, ბუმი მერე ნახეთ...

**ილია ნანობაშვილი**



ვალტერ გუჩუა (მარცხნივ) ქართულ ფეხბურთს „ზესტაფონით“ დაუბრუნდა

*მეკარეები:* ზურაბ ქვაჩახია, თენგიზ ბზიკაძე;

*მცველები:* სევასტი თოდუა, ლაშა გვარუციძე, თენგიზ ჩიკვილაძე, შალვა ლონლაძე, ზურაბ ძამსაშვილი, ანდრია ხინვავა;

*ნახევარმცველები:* გიორგი განუგრავა, კახა ჩხეტიანი, მიხეილ ბესარაშვილი, სერგეი ნუდნი, გიორგი თურმანიძე, ბექა ნოზაძე, ვალტერ გუჩუა, ლევან შავგულიძე, გოჩა სულაკაძე, მიხეილ ჭუმბურიძე;

*თავდამსხმელები:* ზურაბ იონანიძე, ზაზა ზირაქიშვილი, ბექა გოცირიძე, გიორგი ივანიშვილი.




# სიონ-X — შემადგენლობა ისევ უცნობია...

სადღაა ძველი „სიონი“... წარმოიდგინეთ, ხვალ საქართველოს ჩემპიონატი განახლდება და ჯერაც გაურკვეველია, რა გუნდით ითამაშებენ ბოლნისელები. სხვა, გამჭვირვალე ამბებზე კი არ დაგზარდებით: „სიონის“ მთავარ მწვრთნელად გიორგი ყიფშიძის ნაცვლად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ექსთავკაცი გიგლა იმნაძე რომ დაინიშნა და გუნდის კონსულტანტი კახი ცხადაძე იქნება, ეს არახალია.

კლუბის ისტორიაში პირველად „სიონმა“ უცხოური შეკრება გაიარა. იმნაძის გუნდი იალტაში იყო, სადაც რამდენიმე ტესტ-მატჩიც გამართა, თუმც სახეირო შედეგები არ უჩვენებია.

ამ შეკრებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ „მადნეულმა“ და ბოლნისის გამგეობამ სერიოზულად ჩაიხედეს „სიონის“ სამზარეულოში და კლუბს დაფინანსების პრობლემა აღარ უნდა შეექმნას.

ეს კარგია, მაგრამ ქვემოქართლური კლუბი ნაღები შემადგენლობით სულაც არაა გაფუფუნებული. პირველი ეტაპის შემდეგ „სიონს“ რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა — უფრო სწორად, ისინი გუნდში აღარ ვარჯიშობენ, თუმც კლუბისგან გათავისუფლების ფურცელი ჯერ არ მიუღიათ. მხოლოდ ფორვარდ პაატა ჩოხელის „ბათუმში“ გადასვლაა გადაწყვეტილი.

სანაცვლოდ, მქუხარე სახელები არა, მაგრამ ბოლნისში ახალი ფეხბურთელები მაინც მივიდნენ: მეკარე გიორგი ცინაძე და ვეტერანი მცველი კახა სიდამონიძე „ზესტაფონიდან“, თემურ მალანია „ბათუმიდან“, ლაშა ადუაშვილი „ტორპედოდან“, თბილისის „ლოკომოტივიდან“ დაბრუნდა დავით ბაქრაძე, ისევ „სიონში“ ითამაშებენ დროებით უკლუბოდ მყოფი ნახევარმცველები დავით დათვაძე და თენგიზ უგრეხელიძე. აი, დანარჩენი ფეხბურთელების შესახებ კი ვერც გიგლა იმნაძემ გვითხრა რამე: „ზოგი მიდის და ჯერ არ ვიცი, რა შემადგენლობა გვეყოლება მეორე ეტაპზე“.

„სიონის“ საპირველეტაპო მატჩებიდან საუკეთესო ალბათ „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხება იყო, მაგრამ ათასში ერთხელ გამონათებით ბოლნისელებს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება აშკარად გაუძნელდებათ. გორის „დილაზე“ არაფერს ვამბობთ, მაგრამ მათი მეზობელი აუტსაიდერები — „კოლხეთი“ და მით უმეტეს, „ზესტაფონი“ უფრო დალაგებული სიტუაციით ხვდებიან ჩემპიონატის მეორე ნახევარს.

თუმც ვინ იცის, ეგებ ვცდებოდეთ და „თამაზ სტეფანიაზე“ ალამ და მისმა კომპანიონებმაც მოილხინონ...

**ილია ნანობაშვილი**



გიგლა იმნაძე



დიდი შანსია, გიორგი ცინაძე „სიონის“ კარში ჩადგეს



# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | ა. იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, ა. იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 1:0 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, ა. იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | ა. იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | ა. იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 | |
| 83 | 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 | ასათიანი |
| 84 | 11/06/03 | ს | ეჩ | ირლანდია | 0:2 | |
| 85 | 06/09/03 | შ | ეჩ | ალბანეთი | 3:0 | შ. არველაძე 2, აშვეთია |
| 86 | 10/09/03 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:3 | შ. არველაძე |
| 87 | 11/10/03 | ს | ეჩ | რუსეთი | 1:3 | ა. იაშვილი |
| 88 | 18/02/04 | ნ | სტ | რუმინეთი | 0:3 | |
| 89 | 19/02/04 | ნ | სტ | კვიპროსი | 1:3 | გაბიდაური |
| 90 | 20/02/04 | ნ | სტ | სომხეთი | 0:2 | |
| 91 | 27/05/04 | შ | ამ | ისრაელი | 0:1 | |
| 92 | 18/08/04 | ს | ამ | მოლდოვა | 0:1 | |
| 93 | 04/09/04 | ს | მჩ | თურქეთი | 1:1 | ასათიანი |
| 94 | 08/09/04 | შ | მჩ | ალბანეთი | 2:0 | ა. იაშვილი, დემეტრაძე |
| 95 | 13/10/04 | ს | მჩ | უკრაინა | 0:2 | |
| 96 | 17/11/04 | შ | მჩ | დანია | 2:2 | დემეტრაძე, ასათიანი |
| 97 | 09/02/05 | შ | ამ | ლიტვა | 1:0 | აშვეთია |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 69 |
| გოჩა ჯამარაული | 62 |
| გიორგი ქინქლაძე | 54 |
| შოთა არველაძე | 52 |
| თემურ ქეცბაია | 50 |
| ლევან კობიაშვილი | 50 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 45 |
| კახა კალაძე | 40 |
| გიორგი დემეტრაძე | 34 |
| ლევან ცქიტიშვილი | 33 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 |
| მურთაზ შელია | 28 |
| დავით გვარამაძე | 28 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| ალექსანდრე იაშვილი | 23 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| გელა შეყილაძე | 22 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| გივი დიდავა | 21 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 20 |
| რევაზ ქემოკლიძე | 20 |
| ირაკლი ზოიძე | 19 |
| აკაკი დევაძე | 19 |
| რატი ალექსიძე | 19 |
| დიმიტრი კუდინოვი | 18 |

## გოლები

| | |
|---|---|
| შოთა არველაძე | 19 |
| თემურ ქეცბაია | 16 |
| ალექსანდრე იაშვილი | 8 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| გიორგი დემეტრაძე | 6 |
| მიხეილ აშვეთია | 5 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| მალხაზ ასათიანი | 3 |
| ლევან კობიაშვილი | 3 |
| დავით ჯანაშია | 3 |

| სახელი | გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალერი | აბრამიძე | მ | 17/01/80 | ხიმკი (რუსეთი) | 6 | – |
| რატი | ალექსიძე | თ | 08/09/78 | როსტოვი (რუსეთი) | 19 | 2 |
| ალექსანდრე | ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | დინამო (უკრაინა) | 8 | – |
| არჩილ | არველაძე | თ | 22/02/73 | უგუნდო | 32 | 6 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში მიატოვა | 11 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22/02/73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 52 | 19 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| მალხაზ | ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 12 | 3 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16/11/76 | სიონი | 1 | – |
| თორნიკე | აფციაური | ნ | 28/11/79 | თბილისი | 2 | – |
| შალვა | აფხაზავა | თ | 04/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 1 | – |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10/11/77 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 15 | 5 |
| ლადო | ახალაია | თ | 26/06/82 | ციურიხი (შვეიცარია) | 1 | – |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19/10/70 | თამაში მიატოვა | 2 | – |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07/08/73 | ბორჯომი | 3 | – |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში მიატოვა | 8 | – |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17/01/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ვლადიმერ | ბურდული | ნ | 26/02/80 | ალანია (რუსეთი) | 12 | 1 |
| გიორგი | გაბიდაური | ნ | 06/12/79 | ანართოსისი (კვიპროსი) | 3 | 1 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01/09/68 | ბორჯომი | 1 | – |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09/11/77 | ტვენტე (ჰოლანდია) | 15 | 2 |
| ირაკლი | გემეზაშვილი | მ | 06/07/77 | უგუნდო | 1 | – |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08/11/75 | ლოკომოტივი | 28 | – |
| ვასილ | გიგიაძე | თ | 03/06/77 | ტავრია (უკრაინა) | 1 | – |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | თამაში მიატოვა | 27 | 1 |
| ალექსანდრე | გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | ლოკომოტივი | 5 | – |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | თამაში მიატოვა | 8 | 2 |
| გოგიტა | გოგუა | ნ | 04/10/83 | თბილისი | 1 | – |
| იოსებ | გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | თბილისი | 10 | – |
| გია | გურული | თ | 20/05/64 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06/07/75 | ზესტაფონი | 5 | – |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | ჩიხურა | 1 | – |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18/07/78 | ამერი | 1 | – |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17/09/68 | თამაში მიატოვა | 8 | 1 |
| ვიტალი | დარასელია | თ | 27/09/78 | ალანია (რუსეთი) | 8 | – |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28/11/71 | ზესტაფონი | 19 | – |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26/09/76 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 34 | 6 |
| გივი | დიდავა | მ | 26/03/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 21 | – |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | უგუნდო | 1 | – |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21/03/69 | დინამო | 19 | – |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| სევასტი | თოდუა | მ | 13/05/76 | ზესტაფონი | 6 | – |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 23 | 8 |
| სანდრო | იაშვილი | თ | 03/01/85 | თბილისი | 3 | – |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში მიატოვა | 10 | – |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02/12/71 | ზესტაფონი | 3 | 1 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ამერი | 1 | – |
| კახა | კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 40 | – |
| ილია | კანდელაკი | მ | 16/12/81 | დინამო | 1 | – |
| ჯაბა | კანკავა | ნ | 18/03/86 | ალანია (რუსეთი) | 1 | – |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| კახა | კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში მიატოვა | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | მ | 11/05/79 | თბილისი | 6 | – |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | ორდაბასი (ყაზახეთი) | 1 | – |
| დავით | კვირკველია | ნ | 27/06/80 | ალანია (რუსეთი) | 12 | – |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26/04/76 | უგუნდო | 10 | 1 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09/09/68 | სიონი | 3 | – |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10/07/77 | შალკე (გერმანია) | 50 | 3 |
| ლევან | კორღალიძე | ნ | 21/02/80 | სკონტო (ლატვია) | 3 | – |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში მიატოვა | 18 | 1 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში მიატოვა | 13 | – |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08/08/79 | ხიმკი (რუსეთი) | 15 | – |
| ზურაბ | მამალაძე | მკ | 10/02/82 | დინამო | 2 | – |
| ლევან | მაორაძე | ნ | 05/12/77 | ქსანთი (საბერძნეთი) | 1 | – |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| მიხეილ | მახვილაძე | მ | 22/07/78 | ლოკომოტივი | 1 | – |
| ლევან | მელქაძე | თ | 12/12/79 | დინამო | 4 | – |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | სკონტო (ლატვია) | 12 | 1 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ტორპედო | 1 | – |
| ლევან | მიქაძე | მ | 13/09/73 | უგუნდო | 1 | – |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| კახა | მჟავანაძე | მ | 02/10/78 | ანჟი (რუსეთი) | 7 | – |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20/02/74 | ცსკა (სოფია, ბულგარეთი) | 1 | – |
| დავით | მუჯირი | ნ | 02/01/78 | შტურმი (ავსტრია) | 4 | – |
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10/05/72 | დინამო | 69 | – |
| გიორგი | ნიკურაძე | მკ | 01/10/79 | კოოტეეპეე (ფინეთი) | 1 | – |
| ლაშა | ნოზაძე | ნ | 18/03/80 | დინამო | 1 | – |
| დავით | ოდიკაძე | ნ | 14/04/81 | დინამო | 1 | – |
| როინ | ონიანი | მ | 14/06/75 | ლოკომოტივი | 1 | – |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | დილა | 1 | – |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | ვენტსპილსი (ლატვია) | 20 | – |
| ლაშა | სალუქვაძე | მ | 21/12/81 | დინამო | 3 | – |
| არჩილ | სახვაძე | მ | 10/03/78 | საბა ბათერი (ირანი) | 1 | – |
| ედიკ | საჯაია | მ | 16/02/81 | არსენალი (ტულა, რუსეთი) | 9 | – |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17/04/71 | სიონი | 5 | – |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04/08/76 | დინამო | 21 | – |
| დავით | სირაძე | ნ | 20/10/81 | ტრირი (გერმანია) | 2 | – |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15/05/72 | ლოკომოტივი | 10 | – |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| თემურ | ტულუში | თ | 24/02/72 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გია | ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02/06/72 | უგუნდო | 4 | – |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12/08/75 | თამაში მიატოვა | 4 | – |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | თბილისი | 20 | – |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანართოსისი (კვიპროსი) | 50 | 16 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | ანართოსისი (კვიპროსი) | 54 | 8 |
| გიორგი | ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | უგუნდო | 8 | – |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | სიონი (შვეიცარია) | 45 | 8 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12/08/78 | უგუნდო | 2 | – |
| გიორგი | შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | დინამო | 11 | – |
| მურთაზ | შელია | მ | 25/03/69 | თამაში მიატოვა | 28 | – |
| გელა | შეყილაძე | მ | 14/09/70 | თამაში მიატოვა | 22 | – |
| დავით | ჩალაძე | თ | 22/01/76 | ვენტა (ლატვია) | 4 | 1 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | თამაში მიატოვა | 24 | – |
| გია | ჩხაიძე | მ | 23/02/70 | ჩიხურა | 3 | – |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | ზესტაფონი | 1 | – |
| დავით | ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 33 | 1 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07/09/68 | თამაში მიატოვა | 23 | 1 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04/11/80 | ბაკი (აზერბაიჯანი) | 2 | – |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17/01/79 | უგუნდო | 12 | – |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ზაკარპატიე (უკრაინა) | 2 | – |
| სოსო | ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| დავით | ჭიჭვეიშვილი | ნ | 23/01/75 | დინამო | 3 | – |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ამერი | 1 | – |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 29 | – |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | ფრაიბურგი (გერმანია) | 11 | – |
| დავით | ხმელიძე | მკ | 28/04/79 | ლუკოილი (რუსეთი) | 1 | – |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05/10/75 | ბათუმი | 2 | – |
| ლაშა | ჯაკობია | თ | 20/08/80 | მეტალისტი (უკრაინა) | 3 | – |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23/07/71 | დინამო | 62 | 6 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07/08/72 | უგუნდო | 10 | 3 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10/02/76 | უგუნდო | 9 | 4 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში მიატოვა | 2 | – |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16/12/73 | ამერი | 3 | – |
| მამუკა | ჯიქია | ნ | 11/12/75 | ვისლა (პლოცკი, პოლონეთი) | 3 | – |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში მიატოვა | 8 | 1 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | თამაში მიატოვა | 2 | – |

# უეფას თასი 2004-2005. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს

*უეფას თასის განახლებამ და წუხანდელმა მატჩებმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ ევროპაში ნამდვილი საფეხბურთო ციებ-ცხელება სწორედ ახლა იწყება. წამყვანი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები და ევროთასები გადამწყვეტ ფაზაში შედის. დღევანდელი შეხვედრებიც ცხადია, ძალიან საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლებს გვპირდება*



ჯოვანი ტრაპატონი: რატომ ვერ უნდა მოვუგოთ ცსკა-ს?

# ეს იყო რვა წლის წინ...

## მოსკოვს პორტუგალიური არმია მიადგა

### დინამო – ვილიარეალი

კიეველებს ოფიციალური შეხვედრა 3 დეკემბრის მერე არ ჩაუტარებიათ, თუმც ამ ხნის მანძილზე აქტიურად ვარჯიშობდნენ ემირატებსა თუ პორტუგალიაში. გუნდის თავკაც იოჟეფ საბოს თქმით, მისი შეგირდები ფორმაში არიან. „ჩვენი მთავარი უპირატესობა იმაშია, რომ ევროთასებზე თამაშის გაცილებით მეტი გამოცდილება გვაქვს, ვიდრე „ვილიარეალს" — დასძენს საბო.

სტატისტიკაც მასპინძელთა წისქვილზე ასხამს წყალს. უკრაინელებს ესპანურ კლუბებთან საკმაოდ დადებითი ბალანსი აქვთ, თანაც ისეთ გრანდებთან, როგორებიც „რეალი" და „ბარსელონა" არიან.

დღეს საბოს განკარგულებაში არ იქნება სერგეი ფიოდოროვი. საეჭვოა კიდევ ერთი ნახევარმცველის, ტიბერიუ გიოანეს თამაშიც. „ვილიარეალი" კი კიევში უდანაკარგოდ ჩავიდა — ესპანელთა მთავარ მწვრთნელ მანუელ პელეგრინის თუ ვენდობით, მისი გუნდი უკრაინაში მოგებაზე ითამაშებს, მაგრამ ფრეზეც ყაბულს იქნება.

### გრაცერი – მიდლსბრო

„არნოლდ შვარცენეგერის" სახელობის სტადიონზე ერთმანეთს პირველად შეეყრებიან „გრაცერი" და „მიდლსბრო". მასპინძლებს ინგლისურ კლუბებთან თამაშისას არ უმართლებთ, თანაც 15 დეკემბრის შემდეგ სერიოზულ მეტოქეს აღარ შეხვედრიან.

„გრაცერს" პრობლემები აქვს დაცვაში, რადგანაც იოახიმ სტანდფესტი და გრეგორ პოტშერი დაშავებულები არიან. საეჭვოა ემანუელ პოგატეცის თამაშიც. სამაგიეროდ, „მიდლსბროს" კარს ავსტრიელთა ახალწვეული, ლატვიელი იმანტას ბლეიდელისი შეუტევს.

სტივ მაკლარენი, „ბოროს" მწვრთნელი კი მალკოლმ კრისტისა და უგო ეჰიოგუს მოისაკლისებს, რომლებიც თავის გუნდს კიდევ დიდხანს ვერ დაეხმარებიან.

### ფენერბაჰჩე – სარაგოსა

უეფას თასის ორგზის მფლობელი „სარაგოსა" თურქულ კლუბს პირველად დაუპირისპირდება. პირინეელები სტამბოლს გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მცველის, სესარ ხიმენესის გარეშე სტუმრობენ, იგი ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. არის კარგი ამბავიც — გუნდს ძირითადი მეკარე, ხიმენესის სეხნია ლაინესი დაუბრუნდა.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, ისინი ესპანურ კლუბებთან წარმატებული თამაშით ვერ დაიკვეხნიან, თუმც „ფენერის" გერმანელ თავკაც კრისტოფ დაუმს საკუთარი კედლებისა და გუნდის ახალწვეულ ნიკოლას ანელკას იმედი აქვს. როგორც იცით, ფრანგი ფორვარდი „ფენერბაჰჩეში" იანვარში გადაბარგდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თურქებს ტრავმირებული ფეხბურთელები არ ჰყავთ.

### ალემანია – ალკმაარი

ეს მატჩი საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს. ორივე გუნდმა სეზონის დასაწყისში საფეხბურთო ევროპა გააოცა — „ალემანია" ერთადერთი ქვედალიგელი გუნდია, რომელიც უეფას თასს შემორჩა და ჯერჯერობით დამაჯერებლადაც გამოიყურება. „ალკმაარი" კი წარმატებულად გამოდის ჰოლანდიის ეროვნულ ჩემპიონატში და მის ერთ-ერთ ლიდერადაც გვევლინება.

საინტერესოა, რომ აახენის „რაინ ენერგის" სტადიონი ჰოლანდიიდან 10 კილომეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული. „ალკმაარის" კარს კი მათი თანამემამულე, ვეტერანი ფორვარდი ერიკ მეიერი შეუტევს. ეს უკანასკნელი „ალემანიას" მთავარი დამრტყმელი ძალაა.

ჰოლანდიელთა თავკაც კო ადრიანსეს ფინელი იუჰა რეინი არ ეყოლება, ხოლო გერმანელებს დანაკარგი არა აქვთ, პირიქით, მათ სპეციალურად უეფას თასის მატჩებისთვის რუმინელი მცველი — ლაურენტიუ რეგეკამპფი დაიმატეს.

### ბაზელი – ლილი

„ბაზელი" აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვედრია ფრანგულ კლუბს. 40 წლის წინ უეფას თასის (მაშინ ბაზრობათა თასი ერქვა) მეორე რაუნდში შვეიცარიელებმა „სტრასბურის" ბარიერი ვერ გადალახეს და ორი მატჩის ჯამში 2:6 დამარცხდნენ. „ლილს" კი შვეიცარიულ გუნდებთან არასოდეს უთამაშია.

ზამთრის შესვენებისას „ბაზელმა" „მალიორკადან" პატრიკ მიულერი, ხოლო „თუნიდან" რეტო ზანი დაიმატა. შვეიცარიელებმა მოსამზადებელი ეტაპი თურქეთში გაიარეს. მათი თავკაცის თქმით, შეკრება საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა.

მასპინძლებს დაშავებული მოთამაშეები არ ჰყავთ. „ლილს" კი გუნდის კამერუნელი ლეგიონერი ჟან მაკუნი ვერ დაეხმარება. არც ის არის ცნობილი, მოასწრებს თუ არა მწყობრში ჩადგომას ნახევარმცველი კრისტოფ ლანდრინი. მიუხედავად ჩამოთვლილი ფეხბურთელთა ტრავმებისა, „ლილის" მთავარ მწვრთნელ კლოდ პუელის განწყობა საკმაოდ ოპტიმისტურია.

### ჰერენვენი – ნიუკასლი

ამ კლუბებს ერთმანეთთან მხოლოდ 8 წლის წინანდელი ტრანსფერი აკავშირებთ — 1997 წელს მაშინ ძალიან ახალგაზრდა დანიელი ფორვარდი იონ დალ ტომასონი სწორედ „ჰერენვენიდან" გადავიდა „ნიუკასლში".

დღეს კი შესაძლოა, „ჰერენვენი" „კაჭკაჭებს" თავისი საუკეთესო ბომბარდირის, კლას-იან ჰუნტელაარის გარეშე დაუხვდეს, მას მცირე ტრავმა აწუხებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ვერ ითამაშებს გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მცველი დარსელ სეიპი.

„ჯორდები" კი ჰოლანდიას სრული შემადგენლობით ეწვივნენ. ტრადიციულად ომახიანი იყო მათი თავკაცი გრემ სუნესი, რომელმაც განაცხადა, ჩემი გუნდის საბოლოო გამარჯვების მჯერა, თუმც „ჰერენვენი" სერიოზული გუნდია და მძიმე მატჩები გველისო.

### ცსკა – ბენფიკა

ლისაბონის „ბენფიკა" აქამდე მოსკოვის „დინამოს", „სპარტაკსა" და „ლოკომოტივს" შეხვედრია. სამივესთან პორტუგალიელებმა საკმაოდ იოლ გამარჯვებას მიაღწიეს და მათი თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი ამ ტრადიციის გაგრძელებას ახლაც აპირებს. იტალიელი სპეციალისტის თქმით, იგი შეეცდება სტუმრადვე მიაღწიოს სასურველ შედეგს.

არმიელთა მწვრთნელი ვალერი გაზაევი კი 3-6-1 სისტემით თამაშს აპირებს. გამოკვეთილი ფორვარდი მხოლოდ ვაგნერ ლავი იქნება, რადგანაც ივიცა ოლიჩი კვლავ ტრავმას იშუშებს და მისი მინდორზე გასვლა სათუოა. ხოლო „ბენფიკას" ორი ცენტრალური მცველი ჰყავს დაშავებული — რიკარდუ როშა და ანდრე ლუისი.

### ოლიმპიაკოსი – სოშო

ბერძნებს ფრანგულ კლუბებთან ბოლო სამი საშინაო მატჩი მოგებული აქვთ და ამის მეოთხედ გაკეთებას შეეცდებიან. თუმც ეს მარტივი არ იქნება, რადგანაც პირეოსელები „სოშოს" სერიოზული დანაკლისით ხვდებიან. გუნდის წამყვანი მოთამაშეები, გეორგიოს გეორგიადისი და სტილიანოს ვენეტიდისი ტრავმების გამო სეზონის ბოლომდე ჩამოშორდნენ ფეხბურთს. დღეს ვერც ცენტრალური მცველები — გეორგიოს ანატოლაკისი და გაბრიელ შურერი ითამაშებენ.

პრობლემები „სოშოსაც" აქვს: ნახევარმცველები, უილსონ ორუმა და იბრაჰიმ ტალი დღევანდელს კი არა, სარასუხოსაც გამოტოვებენ. ტრავმა აწუხებს მარსელო ტრაპასოსაც, ხოლო „სერვეტიდან" ნაყიდ ტონგოელ ფორვარდ მოჰამედ კადერს მიმდინარე სეზონში უეფას თასზე თამაშის უფლება არ აქვს.

**გიორგი ძაძამიძე**



გრემ სუნესი ჰოლანდიაში ომახიანად ჩავიდა



ნიკოლა ანელკა — „ფენერბაჰჩეს" იმედი

დინამო (უკრაინა) – ვილიარეალი (ესპანეთი)
ცსკა (რუსეთი) – ბენფიკა (პორტუგალია)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) – სარაგოსა (ესპანეთი)
ბაზელი (შვეიცარია) – ლილი (საფრანგეთი)
ალემანია (გერმანია) – ალკმაარი (ჰოლანდია)
გრაცერი (ავსტრია) – მიდლსბრო (ინგლისი)
ჰერენვენი (ჰოლანდია) – ნიუკასლი (ინგლისი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) – სოშო (საფრანგეთი)



# მაურინიუს ფასი — 750 ათასი

**ჟოზე მაურინიუს** ფულით აუვსეს თავისი განთქმული რუხი პალტოს ფართო ჯიბეები. ერთსაათიანი მუშაობის თავზე მას 750 ათასი გირვანქა ჩაუთვალეს და მადლობაც უთხრეს.

საქმე ისაა, რომ მაურინიომ საკრედიტო ბარათების გოლიათის, „ამერიკან ექსპრესის“ რეკლამაში მიიღო მონაწილეობა, იქ კი ეგრეთწოდებულ ცნობილ სახეებს ასე უხდიან.

შინაურულად კი ჟოზეს ჩელსური ხელფასიც კარგი აქვს: 5 მილიონი გირვანქა წელიწადში.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კლუივერტს არ გავუშვებთ

**„ნიუკასლის“** ბოსი გრემ სუნესი ბოლოხანს ამბობდა, რომ თუ პატრიკ კლუივერტი გოლების გატანას არ დაიწყებს, მას აუცილებლად გაყიდის.

ჰოლანდიელმა კლუივერტმა სულ 8 გოლი გაიტანა „ბარსადან“ ინგლისის ჩრდილოეთში გადაბარგების შემდეგ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, „ჯორდები“ არ შეელიენ.

იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას ბასკურ „ოსასუნას“ სდომებია ჰოლანდიელის ყიდვა, მაგრამ „ნიუკასლი“ მტკიცე უარზე გასულა.

მისგან უკეთესს ველით — ახლა ასე ამბობს სუნესი, რომელსაც კლუივერტის ფორმაში შესვლის იმედი აქვს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შერისხული კრეიგ ბელამი გლაზგოს „სელტიკს“ მიაქირავა.



**ირაკლი გამყრელიძე**

# მძიმე სვლა სამშობლოსკენ
## რუნი ლივერპულში დაისვენებს

**ახლოვდება** „ევერტონ“ — „მანჩესტერის“ სათასო მატჩი და დაძაბულობამ უკვე მიაღწია კაი გვარიან ადგილს. „მანჩესტერმა“ ორი პირადი მცველი უქირავა უეინ რუნის, რათა მან უსაფრთხოდ იგრძნოს თავი მშობლიურ ქალაქში.

„ევერტონიდან“ „მანჩესტერში“ 27 მილიონად გადასული 19 წლის რუნი პირველად ბრუნდება „გუდისონ პარკზე“ და თანაც, სხვა გუნდის სამოსით. ის პირველად უნდა შეებრძოლოს იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც ბიჭობაში ბაძავდა, მერე კი გვერდით ედგა.

წინდაწინვე ცნობილია, რომ „გუდისონ პარკი“ მძიმე დახვედრას უმზადებს ბიჭს, რომელსაც რამდენიმე თვის წინათ აღმერთებდა.

თუმცა, ეს არ ეხება თავად „ევერტონს“, მენეჯერ დევიდ მოიესის მარჯვენა ხელი, ალან ირვინი ამბობს, რომ რუნი საგანგებოს და ვერაგულს არაფერს უნდა მოელოდეს ყოფილი პარტნიორებისგან, მხოლოდ თამაში იქნება და მორჩა.



ამ ყველაფერს კი შესაძლოა ცივი წყალი გადაასხას სერ ალექს ფერგიუსონმა, რომელმაც ეგებ საერთოდ არ გამოიყვანოს რუნი მოედანზე. იქითა კვირაში, „მანჩესტერს“ ჩემპიონთა ლიგის უმძიმესი მატჩი აქვს „მილანთან“ და ტრავმირებულნი, რუუდ ვან ნისტელროოი და ალან სმიტი სწორედ იმ დღისთვის იქნებიან მზად. ჰოდა, ეგებ სერ ალექსმა უეინ რუნიც დაასვენოს და თავდასხმაში მეორე შემადგენლობას მისცეს შანსი.

რუნი კი ახლა ფორმაშია, ბოლო 8 თამაშში 6 გოლი გაიტანა.

**ირაკლი გამყრელიძე**



# მეკამათონ, მს ხომ თამაშია
## გრემ პოლისთვის უმთავრესი ადამიანურობაა

*ბევრია ამქვეყნად ისეთი ადამიანი, ორ გლადიატორს შორის შევარდნას რომ გაბედავს? აი, ინგლისელი მსაჯი გრემ პოლი კი ამას ახერხებს — მას შეუძლია „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრის დროს თვით პატრიკ ვიეირას და როი კინს ჩაუდგეს შუაში, თანაც მაშინ, როდესაც ისინი მძვინვარებენ.*

*ამასთანავე, პოლი ინგლისში ყველაზე ცნობილი მსაჯია. მეტიც, იგი ყველაზე ცნობილი ინგლისელი მსაჯია, რომელსაც ყველა იცნობს, როგორც უშიშარსა და გაბედულს.*

*ზემოთ ორი აშკარა გლადიატორი ვახსენეთ, მაგრამ მოდით ნუ დაგვავიწყდება, რომ გრემ პოლს ბებერ კონტინენტზე ბევრი არანაკლებ ტემპერამენტიანი მოთამაშე თუ მწვრთნელი დაუოკებია.*

*ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მოედანს გარეთ მას ნებისმიერ ვიეირასთან, კინთან თუ ალექს ფერგიუსონთან ჩინებული ურთიერთობა აქვს*

— რას გვეტყოდით თანამედროვე ფეხბურთის ისეთ პრობლემაზე, როგორიცაა სიმულაცია?

— პრობლემას იმ ბოლოდან უნდა მოვეჭიდოთ, რომ დღეს ფეხბურთელები ძალიან დახვეწილად იტყუებიან. მეორე ბოლო გახლავთ ის, რომ ჩვენ, მსაჯები ადექვატური წარმატებით ვერ ვსჯით სიმულიანტებს. დახეთ უსამართლობას, ამ სეზონში იყო უკვე არაერთი ეპიზოდი, როდესაც არბიტრს პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ მომრავლებული სიმულიანტობებით დაშინებულმა არ ჩასტვინა იმიტომ, რომ ნაღდი მომენტიც სიმულიანტობა ეგონა. ახლა ვცდილობთ ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა შექმნილი ვითარება გამოვასწოროთ. გვინდა უფრო მკაფიოდ მოვახერხოთ ტყუილისა და ნამდვილი დარღვევის გარჩევა და ამ საქმეში თანამსაჯები გამოვიყენოთ. როგორც კი საამისო ხერხებს შევიმუშავებთ, ფეხბურთი გაცილებით ლამაზი თამაში გახდება.

— მიგაჩნიათ, რომ ფეხბურთელები ზედმეტად ძლევამოსილნი ხდებიან და ამის გამო მოედანზე უკვე საფრთხე იქმნება?

— არის შემთვევები, როდესაც ფეხბურთელები მართლა ძალიან ბევრს ბედავენ, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მკაცრ მსაჯებს ასეთი სიტუაციების კონტროლი უფრო შეუძლიათ. მე ვცდილობ თამაშების განმავლობაში მოთამაშეებს ველაპარაკო და მივხვდე, თუ რას გრძნობენ ისინი. თუ ხვდები, რომ რომელიმე მათგანი კონტროლს ჰკარგავს, ესე იგი, დროა გაიხმო და დისციპლინის შესახებ დაელაპარაკო. პრაქტიკა მიჩვენებს, რომ ჩვეულებრივ მათ თავადაც კარგად იციან როდის იქცევიან ზღვარგადასულად. ასე რომ, თუ რომელიმე, საუბრის შემდეგაც განაგრძობს ისევ ასე ქცევას, უკვე შეგიძლია ყვითელი ბარათი ამოუღო ან სულაც მოედნიდან გააძევო.

— ცოტა ხნის წინ იხილავდნენ ასეთ საკითხს: მსაჯთან საუბრის ნება თითო გუნდიდან მხოლოდ თითო მოთამაშეს, კაპიტანს დავუთმოთო. განა არ შეიძლება ფეხბურთში ჰოკეისა და რაგბის გამოცდილება გავიზიაროთ?

— საერთოდ, რასაკვირველია, თუკი სპორტის სხვა სახეობას რაიმე დადებითი გამოცდილება აქვს, უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მგონი სჯობს ყველაფერი ძველებურად, ხელუხლებლად დავტოვოთ. ფეხბურთის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნაწილი ადამიანურობაა და ამიტომ მსაჯსა და ფეხბურთელებს შორის დისტანციას გაზრდა არ სჭირდება. თითოეულის დღევანდელი ყოფაქცევა მოედანზე, საფეხბურთო კულტურის შემადგენელი ნაწილია.

— არ ღელავთ როდესაც ფეხბურთელები ბრალს გდებენ?

— მსაჯს არ უნდა დაავიწყდეს, რომ რაც ხდება, მომენტის ემოციით, წამის ტემპერატურით არის განპირობებული, ხოლო პირადი იმ ქცევაში საერთოდ არაფერია. რაც შეეხება რაგბის წესს, რომ მსაჯს მდგომარეობის დარეგულირებაში კაპიტნები უნდა ეხმარებოდნენ, რადგან მასთან ლაპარაკის უფლება სხვებს არ აქვთ, იგივე „მანჩესტერისა“ და „არსენალის“ შეხვედრაში არ გამოდგება, რადგან ამ გუნდების ბოლო შეხვედრაში სამჯერ გავიქეცი ინციდენტის ჩასაცხრობად მთელი მოედნის გადაღმა და სამივეჯერ როი კინსა და პატრიკ ვიეირას შორის მომიწია ჩადგომა.

# იმედის ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქველმოქმედო მატჩი

**შევჩენკოს ნაკრები 3:6 რონალდინიოს ნაკრები**

0:1 ეტოო (13), 0:2 რონალდინიო (19), 1:2 დელ პიერო (29), 1:3 ეტოო (45), 2:3 ძოლა (50), 3:3 სუაცო (53), 3:4, 3:5 კამარა (63, 66), 3:6 დუ-რი ჩა (80)

**შევჩენკოს ნაკრები:** კასილიასი (ტოლდო 46), დაისლერი, ტურამი (კუფური 46), მონტერო, კალაძე (კომპანი 46), ბექემი (ჟიული 46), ჯერარდი (ფოგელი 46), დელ პიერო (ძოლა 46), ზიდანი (ლიტმანენი 46), შევჩენკო (ანრი 46; ჰაქან შუქური 65), რაული (სუაცო 46)

მწვრთნელები: მარჩელო ლიპი და არსენ ვენგერი

**რონალდინიოს ნაკრები:** დიდა (კამენი 46), კაფუ (ბესლი 46), რადებე (ჯაიდი 46), კორდობა, სონგი, ნაკატა (პარკი 46), მარკესი, დეკო (მაჰ დავიკია 46), კაკა (დუ-რი ჩა 46), რონალდინიო (მარტინსი 61), ეტოო (ა. კამარა 46)

მწვრთნელები: კარლოს ალბერტო პარეირა და ფრანკ რაიკარდი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

40 770 მაყურებელი

**ვარსკვლავებმა** იშრომეს, ილაღეს და ითამაშეს „იმედის ფეხბურთი“ „კამპ ნოუზე“. ცუნამისთვის დაზარალებულთათვის შესაგროვებელი 8 მილიონი ევროს თავმოყრა ევალებოდათ: „რონალდინიო 11“ და „შევჩენკო 11“-ს. თამაშში არ იყო ჯარიმები, ეგრეთწოდებული „პადკატები“ და ასე შემდეგ ანუ განთქმული იტალიელი თავზოტორა მსაჯი პიერლუიჯი კოლინაც სულ ტყუილად დარბოდა. რონალდინიოს ხალხმა 6:3 მოიგო, ტრიბუნებზე კი 40 ათასი კაცი იჯდა.

რახან თამაში ბარსელონურ „კამპ ნოუზე“ იყო და პირველი ტაიმის შემადგენლობაში რონალდინიო, ეტოო და დეკო იყვნენ, ეს ტაიმი მათ ბენეფისად იქცა და პირველმა ორმა ჯამურად სამი გოლიც შეაგდო ჟონგლიორობითა და ფინტაობით.

მეორე ტაიმში „შევჩენკოელმა“ ჯანფრანკო ძოლამ გაიტანა ასევე ლამაზად და ერთხანს ამ ევროპელებით სავსე გუნდმა კიდეც გაათანაბრა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დანარჩენმა მსოფლიომ იმარჯვა და სულ ბოლოს კორეელმა დუ-რი ჩამ, ან ჩა დუ-რიმ ჩაუჭედა ტოლდოს.

გუნდებს ორ-ორი მწვრთნელი ჰყავდათ: „შეველებს“ მარჩელო ლიპი და არსენ ვენგერი, „რონალდინიოებს“ ფრანკ რაიკარდი და კარლოს ალბერტო პარეირა.

თავიდან, რა თქმა უნდა, იყო დუმილის წუთი, მერე კი პიერლუიჯი კოლინამ ჩასტვინა და ეს ტკბილად საცქერი თამაშიც დაიწყო.

თქვენ კი დაინახავდით, როგორიც იქნებოდა ფეხბურთი, იქ ხომ სარმა, კაცის აყვანა, ჯაჯგური, ბურთის ჯგუფური ართმევა და სხვა ათასი ასეთი რამ რომ არ ყოფილიყო. ლამაზი მართლა იყო და არსიც ხომ კეთილშობილური ჰქონდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მეგობრებთან ერთად...

## რონალდინიომ მილანი ერთხელაც ახსენა




არაა გამორიცხული, ანდრეი შევჩენკომ და რონალდინიომ „მილანში“ ერთადაც ითამაშონ

**ცუნამით** დაზარალებული აზიელების დასახმარებლად გამართული ვარსკვლავთა მატჩის შემდეგ ბრაზილიელმა რონალდინიომ საკმაოდ საინტერესო რეპლიკა ისროლა. „ბარსელონას“ პლეიმეიკერმა განაცხადა, იტალიურ „მილანში“ გადასვლაზე სულაც არ ვიტყოდი უარს და ვინ იცის, იქნებ მომავალში ასეც მოხდესო.

„სან სიროზე“ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. „მილანი“ დიდი ტრადიციების მქონე, ძალიან ძლიერი გუნდია და ჩინებული მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, თანაც იქ ჩემი უახლოესი მეგობრები, დიდა, კაფუ, კაკა და სერჟინიო არიან“ — დასძინა ბრაზილიელმა.

ბუნებრივია, ამან ჭორების ახალი ტალღაც ააგორა. „მილანის“ შეფობას აქამდეც არაერთხელ უთქვამს, რონალდინიოს შეძენა ჩვენი ერთ-ერთი ოცნებაა და მის გადმოსაყვანად არაფერს დავიშურებთო. „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და კაპიტანმა პაოლო მალდინიმ კი სულ ცოტა ხნის წინ აღნიშნეს, ასეთი ფეხბურთელზე უკეთესს ახლა ვერავის ვიყიდითო.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც ძნელი სავარაუდოა, ეს ტრანსფერი შედგეს. საქმე კი ისაა, რომ „მილანი“ ორი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას — რონალდინიოს ფასი და მისი სხვა მსურველები.

სპეციალისტების აზრით, ბრაზილიელის მინიმალური სატრანსფერო ფასი 40 მილიონი ევროა, ხოლო „ბარსელონამ“ შესაძლოა ბევრად მეტიც მოითხოვოს. თანაც რონალდინიოს ხელში ჩაგდება „მილანზე“ არანაკლებ შეძლებულ კლუბებს „ჩელსის“, „რეალს“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ინტერსაც“ სურთ.

**გიორგი ძაძაბაძე**

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

I ჯგუფი. I ტური

ინდეპენდიენტე (კოლუმბია) 2:2 ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია)

V ჯგუფი. I ტური

ნასიონალი (ურუგვაი) 0:1 ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია)

VI ჯგუფი. I ტური

ალიანსა (პერუ) 0:0 ტიგრესი (მექსიკა)

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები

**დიჟონი 1:1 გენგამი**

**ტრუა 2:1 ნანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 25 | 14 | 5 | 6 | 37:23 | 47 |
| ტრუა | 25 | 13 | 5 | 7 | 42:33 | 44 |
| ლე მანი | 25 | 12 | 5 | 8 | 27:22 | 41 |
| სედანი | 25 | 11 | 7 | 7 | 24:23 | 40 |
| გენიონი | 25 | 9 | 11 | 5 | 21:17 | 38 |
| შატორუ | 25 | 8 | 13 | 4 | 28:22 | 37 |
| მონპელიე | 25 | 10 | 6 | 9 | 26:23 | 36 |
| ბრესტი | 25 | 8 | 12 | 5 | 25:24 | 36 |
| ლავალი | 25 | 10 | 6 | 9 | 28:28 | 36 |
| გრენობლი | 24 | 8 | 9 | 7 | 29:27 | 33 |
| გენგამი | 25 | 9 | 6 | 10 | 32:31 | 33 |
| რეიმსი | 24 | 8 | 9 | 7 | 25:28 | 33 |
| დიჟონი | 25 | 7 | 11 | 7 | 24:24 | 32 |
| ამიენი | 25 | 7 | 9 | 9 | 22:24 | 30 |
| კლერმონი | 25 | 6 | 10 | 9 | 27:27 | 28 |
| ლორიანი | 25 | 8 | 4 | 13 | 29:36 | 28 |
| კრეტეი | 25 | 6 | 8 | 11 | 22:25 | 26 |
| ანჟე | 25 | 5 | 9 | 11 | 24:32 | 24 |
| ლე ავრი | 25 | 6 | 6 | 13 | 15:25 | 24 |
| ნიორი | 25 | 6 | 5 | 14 | 20:33 | 23 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

**მოზერუელი 1:1 ჰიბერნიანი**

1:0 კრეიგანი (26), 1:1 რიორდანი (66პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 25 | 19 | 5 | 1 | 54:11 | 62 |
| სელტიკი | 24 | 20 | 2 | 2 | 53:19 | 62 |
| ჰიბერნიანი | 25 | 13 | 5 | 7 | 42:33 | 44 |
| ჰართსი | 25 | 11 | 8 | 6 | 30:21 | 41 |
| აბერდინი | 25 | 10 | 6 | 9 | 25:25 | 36 |
| მოზერუელი | 25 | 9 | 4 | 12 | 30:34 | 31 |
| კილმარნოკი | 25 | 9 | 2 | 14 | 31:43 | 29 |
| ინვერნესი | 24 | 6 | 7 | 11 | 27:35 | 25 |
| დანფერმლაინი | 25 | 6 | 6 | 13 | 23:37 | 24 |
| დანდი | 25 | 6 | 6 | 13 | 28:46 | 24 |
| დანდი იუნ. | 25 | 4 | 9 | 12 | 27:40 | 21 |
| ლივინგსტონი | 25 | 4 | 4 | 17 | 19:45 | 16 |

## ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი

**კრიუ 1:1 ბარნლი**

1:0 ს. ჯოუნსი (17), 1:1 გრანტი (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 32 | 19 | 8 | 5 | 60:38 | 65 |
| უიგანი | 32 | 17 | 9 | 6 | 56:24 | 60 |
| სანდერლენდი | 32 | 18 | 6 | 8 | 48:29 | 60 |
| პრესტონი | 32 | 15 | 7 | 10 | 46:43 | 52 |
| რედინგი | 32 | 14 | 9 | 9 | 38:30 | 51 |
| დერბი | 32 | 15 | 6 | 11 | 46:40 | 51 |
| ვესტ ჰემი | 31 | 14 | 6 | 11 | 41:39 | 48 |
| შეფილდი | 31 | 13 | 9 | 9 | 39:39 | 48 |
| მილუოლი | 32 | 13 | 8 | 11 | 35:29 | 47 |
| ლიდსი | 34 | 12 | 11 | 11 | 40:36 | 47 |
| ბარნლი | 31 | 11 | 11 | 9 | 26:25 | 44 |
| ქუინზ პარკი | 32 | 13 | 5 | 14 | 40:44 | 44 |
| კრიუ | 32 | 11 | 9 | 12 | 53:55 | 42 |
| სტოკი | 31 | 11 | 8 | 12 | 19:22 | 41 |
| ლესტერი | 31 | 9 | 13 | 9 | 33:30 | 40 |
| უოტფორდი | 32 | 9 | 13 | 10 | 40:38 | 40 |
| ვულვზი | 31 | 9 | 12 | 10 | 43:42 | 39 |
| ბრაიტონი | 33 | 10 | 8 | 15 | 27:42 | 38 |
| კარდიფი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:36 | 37 |
| პლიმუთი | 32 | 9 | 8 | 15 | 34:43 | 35 |
| ქოვენთრი | 32 | 8 | 8 | 16 | 39:54 | 32 |
| ჯილინგემი | 32 | 8 | 6 | 18 | 28:51 | 30 |
| ნოტინგემი | 31 | 5 | 11 | 15 | 28:45 | 26 |
| როტერჰემი | 32 | 3 | 13 | 16 | 24:44 | 22 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

**საუკეთესო ფეხბურთელი**
სამუელ ეტოო (ბარსელონა, კამერუნი)
**საუკეთესო ეროვნული გუნდი**
ტუნისის ნაკრები
**საუკეთესო კლუბი**
ენიემბა (ნიგერია)
**საუკეთესო მწვრთნელი**
ოკეი ემორდი (ენიემბა, ნიგერია)
**საუკეთესო მეკარე**
ალი ბუმნიჟელი (კლუბ აფრიკანი, ტუნისი)
**საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი**
ობაფემი მარტინსი (ინტერი, ნიგერია)
**აფრიკის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი:**
ვენსან ენიეამა (ენიემბა, ნიგერია)
**საუკეთესო ქალი ფეხბურთელი**
პერპეტუა ნკვოჩა (ნიგერია)
**საუკეთესო გოლის ავტორი**
ბენი მაკარტი (პორტუ, სამხრეთ აფრიკა)



# აფრიკამ ეტოო გაიმეორა

**კამერუნელი** სამუელ ეტოო ზედიზედ მეორედ დაასახელეს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად. აქამდე ასეთი პატივი წილად ლიბერიელ ჟორჟ ვეასა და სენეგალელ ელ-ჰაჯი დიუფს რგებიათ, განელმა აბედი პელემ კი მიჯრით სულაც სამჯერ იპირველა.

„ბარსელონას" 23 წლის თავდამსხმელმა 116 ქულა დააგროვა და უკან მოიტოვა „ჩელსის" ფორვარდი დიდიე დროგბა და „ბოლტონის" ნახევარმცველი ჯეი-ჯეი ოკოჩა, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები იკმარეს. დროგბას მეორეობისთვის 90 ქულა ეყო, ოკოჩამ კი 63 ქულა შეაქუჩა.

დაჯილდოების ცერემონიას, რომელიც სამხრეთაფრიკულ დურბანში მოეწყო, თავად ეტოო ვერ დაესწრო. მიზეზი ფრიად საპატიო გახლდათ — სამუელი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებთან ერთად ცუნამით დაზარალებულთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობდა.

ქმრის კუთვნილი ჯილდო ჟორჟეტ ეტოომ მიიღო, სამუელმა კი დურბანში შეკრებილ საზოგადოებას ტელეხიდის საშუალებით მიმართა. სამადლობელი სიტყვის მერე კამერუნელმა იმ ჭირზეც ილაპარაკა, რასიზმი რომ ჰქვია და საფეხბურთო სამყაროს, განსაკუთრებით კი მედიას, მის წინაალმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. შევნიშნოთ, რომ „ბარსას" კამერუნელი ფორვარდი ამ ბოლო დროს ბევრჯერ გამხდარა რასიზმის მსხვერპლი.

თუმცა, მოდით, ამ უსიამოვნო ლაპარაკს თავი დავანებოთ და სამუელის კარიერას გადავავლოთ თვალი. 1981 წლის 10 მარტს კამერუნის ქალაქ ნკონში დაბადებული ბიჭი ბურთს ისე დაუმეგობრდა, მასთან განშორება აღარც უფიქრია. მისი პირველი პროფესიული კლუბი „ავენირ დუალი" იყო. ტექნიკითა და გოლის ალღოთი გამორჩეული ეტოო 16 წლისა გახლდათ, ნაკრებში რომ მიიწვიეს. მისი დებიუტი 1997 წელს კოსტა რიკასთან ამხანაგურ მატჩში შედგა.

ნიჭიერი აფრიკელი უმალ მოხვდა ევროპის ბობოლა გუნდა თვალთახედვის არეში, ყველას მადრიდის „რეალმა" დაასწრო. თუმცა, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჯერ კიდევ უმწიფარ სამუელს ესპანური გრანდის მთავარ გუნდში ფეხის მოკიდება გაუჭირდებოდა და მადრიდელებმა იგი სეგუნდადივიზიონის „ლეგანესში" გაანათხოვრეს.

საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სამუელ ეტოომ მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა, ისიც შეცვლაზე იტალიასთან 0:3 წაგებულ შეხვედრაში, თუმც თავი არ შეურცხვენია და მის შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დაარწმუნა სპეციალისტები. აქვე შევნიშნოთ, რომ კამერუნელი ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე იყო. მუნდიალის დასრულების შემდეგ „რეალმა" ეტოო დაიბრუნა და კვლავ გაანათხოვრა, ამჯერად „ესპანიოლში". იქ სამუელმა ერთი სეზონი დაჰყო და ისევ მადრიდს მიაშურა. ვერა და ვერ აეწყო ეტოოს საქმეები „რეალში", ფეხბურთელსაც მობეზრდა სათადარიგოთა სკამის ხეხვა და კლუბს ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა. „რეალმაც" კამერუნელი „მალიორკას" დაუთმო, ოღონდ მომავალში მისი გაყიდვისას თანაბარი უფლებებით.

ამასობაში მოახლოვდა 2000 წლის სექტემბერი. სიდნეის ოლიმპიადის ფინალში აფრიკელებმა პენალტებით დაჯაბნეს ესპანელები.

„მალიორკაც" ის გუნდი აღმოჩნდა, სადაც სამუელმა ფრთები გაშალა და წარმატებამაც არ დაახანა — ეტოომ მალიორკაში ესპანეთის თასი ჩაიტანა. რაც მთავარია, იმ ოთხი წლის მანძილზე, „მალიორკაში" რომ გაატარა, სამუელი ნამდვილ რისხვად მოევლინა მის დამწუნებელ სამეფო გუნდს. „რეალ"-ეტოოს ურთიერთობა შარშან ზაფხულს ლოგიკურად დასრულდა — კამერუნელი 24 მილიონ ევროდ მადრიდელთა მოძულე „ბარსელონამ" შეიძინა.

თუ როგორ მოერგო შავი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი ახალ გუნდს, ამას ყველაზე უკეთ ესპანური პრიმერადივიზიონის სატურნირო და ჩემპიონატის ბომბარდირების ცხრილები მიგვანიშნებს. „ბარსელონა" პირველ ადგილზეა, სამუელ ეტოო კი ჯერჯერობით 17 გოლით საუკეთესო ბომბარდირია.

**სოსო კოტორეიშვილი**

**აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი 1970-2004**

| წელი | ფეხბურთელი | კლუბი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| 1970 | სალიფ კეიტა | სენტ ეტიენი | მალი |
| 1971 | იბრაჰიმ სანდეი | ასანტე კოტოკო | განა |
| 1972 | შერიფ სულეიმანი | ჰაფია | გვინეა |
| 1973 | ტშიმენ ბვანგა | მაზემბე ენგლებერტი | ზაირი |
| 1974 | პოლ მოუკილა | ბრაზავილი | კონგო |
| 1975 | აჰმედ ფარასი | მოჰამედია | მაროკო |
| 1976 | როჟე მილა | ქენონ იაუნდე | კამერუნი |
| 1977 | ტარაკ დჰიაბი | ესპერანსი | ტუნისი |
| 1978 | ქარიმ-აბდულ რაზაკი | ასანტე კოტოკე | განა |
| 1979 | თომას ნკონო | ქენონ იაუნდე | კამერუნი |
| 1980 | ჟან-მანგა ონგუენე | ქენონ იაუნდე | კამერუნი |
| 1981 | ლახდარ ბელუმი | მასკარა | ალჟირი |
| 1982 | თომას ნკონო | ესპანიოლი | კამერუნი |
| 1983 | მაჰმუდ ალ ხატაბი | ალ აჰლი | ეგვიპტე |
| 1984 | თეოფილე აბეგა | ტულუზი | კამერუნი |
| 1985 | მოჰამედ ტიმუნი | როიალ ფორსესი | მაროკო |
| 1986 | ბადუ ეზაკი | მალიორკა | მაროკო |
| 1987 | რაბაჰ მაჯერი | პორტუ | ალჟირი |
| 1988 | კალუშა ბვალია | სერკლ ბრიუგე | ზამბია |
| 1989 | ჟორჟ ვეა | მონაკო | ლიბერია |
| 1990 | როჟე მილა | სენ დენი | კამერუნი |
| 1991 | აბედი პელე | მარსელი | განა |
| 1992 | აბედი პელე | მარსელი | განა |
| 1993 | აბედი პელე | ლიონი | განა |
| 1994 | ჟორჟ ვეა | პარი სენ ჟერმენი | ლიბერია |
| | ემანუელ ამუნიკე | სპორტინგი | ნიგერია |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | ნვანკვო კანუ | ინტერი | ნიგერია |
| 1997 | ვიქტორ იკპება | მონაკო | ნიგერია |
| 1998 | მუსტაფა ჰაჯი | დეპორტივო | მაროკო |
| 1999 | ნვანკვო კანუ | არსენალი | ნიგერია |
| 2000 | პატრიკ მბომა | პარმა | კამერუნი |
| 2001 | ელ-ჰაჯი დიუფი | რენი | სენეგალი |
| 2002 | ელ-ჰაჯი დიუფი | ლივერპული | სენეგალი |
| 2003 | სამუელ ეტოო | მალიორკა | კამერუნი |
| 2004 | სამუელ ეტოო | ბარსელონა | კამერუნი |




**ინგლისური** „ჩელსი" ექიმების საბოლოო დასკვნას არ დაელოდა და გუნდის ისლანდიელი ლეგიონერი ეიდურ გუდიონსენი 60 ათასი გირვანქით დააჯარიმა. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ 26 წლის ფორვარდი ნასვამი მართავდა მანქანას გადაჭარბებული სიჩქარით. თავად ფეხბურთელმა თავის მართლება სცადა, ორ ჭიქაზე მეტი არ დამილევიაო. ახლა ეიდურ გუდიონსენს სასჯელი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგანაც ელის.

**გერმანული** „შტუტგარტი" თავის ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს სეზონის ბოლომდე „გრასჰოპერში" გაანათხოვრებს. უახლოეს დღეებში ციურიხულ კლუბს თავდამსხმელები — ზაჰრ სენესიე და ვიაჩესლავ გლები შეუერთდებიან. მომავალ ზაფხულს კი შვეიცარიელებმა ეგებ მათ გამოსყიდვაზეც იფიქრონ.

**იტალიურმა** „ინტერმა" და პორტუგალიულმა „ბენფიკამ" ბრაზილიელი ლუიზაოს ტრანსფერზე მოილაპარკეს. როგორც ამბობენ, მომავალ ზაფხულს სამხრეთამერიკელი მცველი „ნერომურის" მაისურას მოირგებს. ლისაბონელები კი მის სანაცვლოდ 4 მილიონ დოლარსა და ბერძენ ნახევარმცველ გეორგიოს კარაგუნისს მიიღებენ.

**არგენტინული** და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას, დიეგო არმანდო მარადონას უახლოეს დღეებში ოპერაციას გაუკეთებენ. ექიმები მას ზედმეტი წონისგან გაათავისუფლებენ. კუბელი მედიკოსების თქმით, ეს აუცილებელია, რათა მარადონა საბოლოოდ განიკურნოს ნარკოტიკებისგან. ოპერაცია კოლუმბიის ქალაქ კარტახენაში გაკეთდება.

**ინგლისური** „ტოტენჰემი" მალე თავის წამყვან თავდამსხმელ ჯერმენ დეფოსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას შეეცდება. შავკანიანი ფორვარდი 19 გოლით ლონდონელთა საუკეთესო ბომბარდირია. დეფოს გადაბირების მსურველები მრავლად არიან, მაგრამ „მამლებს" მისი შენარჩუნება ძალიან უნდათ. „ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ ამ თემაზე. ჯერმენს აქ ძალიან მოსწონს და ამბობს, რომ მისთვის ფული მთავარი არ არის. უბრალოდ, იგი ფეხბურთით სიამოვნებას იღებს" — თქვა „ტოტენჰემის" თავკაცმა მარტინ იოლმა.

**შოტლანდიურმა** „რეინჯერსმა" ფერნანდო რიკსენთან კონტრაქტი 2009 წლამდე გაახანგრძლივა. „იანვარში გუნდის ხელმძღვანელობას ჩემი სარფიანად გაყიდვა შეეძლო, მაგრამ ასე არ მოიქცა. ალექს მაკლიშმაც აღნიშნა, რომ მე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად აღმიქვამს, რაც ძალიან მეამაყება. ყველანაირად შევეცდები, იმედი არვის გავუცრუო, მათ შორის საკუთარ თავსაც" — განაცხადა 28 წლის რიკსენმა.

**ესპანურ** პრესაში „ვალენსიას" თავკაც კლაუდიო რანიერის შესახებ ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება. თუმც ავტორიტეტულ „მარკას" თუ ვენდობით, იტალიელი სპეციალისტი თავის პოსტს ვერ შეინარჩუნებს. „ღამურების" ხელმძღვანელობას უკვე ახალი მწვრთნელიც შეურჩევია. როგორც ამბობენ, სეზონის ბოლოს „ვალენსიას" „ხეტაფეს" დამრიგებელი კიკე ფლორესი ჩაიბარებს. მადრიდული კლუბი კომპენსაციის სახით კონტრაქტის ნაადრევად შეწყვეტისთვის 300 ათას ევროს მიიღებს.

**რუმინელი** მცველი კოზმინ კონტრა სამშობლოში დაბრუნდა. მადრიდის „ატლეტიკომ" იგი ოთხი თვით პოლის აეკ-ში გაანათხოვრა. 29 წლის ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მობეზრდა და ესპანეთის დატოვებაც ამიტომ გადაწყვიტა. „სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, რათა ეროვნულ გუნდში ადგილი დავიბრუნო. ეს ჩემთვის მთავარია" — განაცხადა კონტრამ.

**ინგლისური** „პორტსმუთის" მთავარ მწვრთნელ ველიმირ ზაიეცის თქმით, ზაფხულში გუნდს იაკუბუ აიეგბენი დატოვებს. კლუბის გამოცვლა თავად ნიგერიელსაც სწადია. „იაკუბუ ისე ვერ თამაშობს, როგორაც შეუძლია. იგი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ჯერ ახალგაზრდაა. ბევრი უნდა ივარჯიშოს და ამ შემთხვევაში ბრწყინვალე მოთამაშედ ჩამოყალიბდება" — აღნიშნა ზაიეცმა.

**ბრაზილიელი** მცველი ედმილსონი „ბარსელონაში" დაბრუნდა და თანაგუნდელებს შეუერთდა. მან ბოლო ორი თვე სამშობლოში გაატარა, სადაც მტკივან მუხლს მკურნალობდა. ექიმების თქმით, სარეაბილიტაციო კურსი კარგად მიმდინარეობს, მაგრამ ედმილსონს კიდევ თვენახევრით მოუწევს უქმობა. „მიხარია, რომ კვლავ კატალონიაში ვარ, მეგობრებთან და თანაგუნდელებთან ერთად. ყველაფერი კარგად მიდის და ლოდინის გარდა არაფერი დამრჩენია" — თქვა ფეხბურთელმა.

**ფრანგი** სპეციალისტი სერჟ დევეზე ბენინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. აქამდე იგი აფრიკელთა ახალგაზრდულ გუნდს თავკაცობდა და იგი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ათამაშა. ბენინის ფეხბურთის ფედერაცია იმედოვნებს, რომ დევეზე, რომელსაც შავ კონტინენტზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, წარმატებას ეროვნულ გუნდშიც მიაღწევს.

**ინგლისური** „ლივერპული" თავის მცველ ჯეიმი კარაგერს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. მერსისაიდელთა თავკაც რაფაელ ბენიტესს სურს, რომ ფეხბურთელს ხელფასი გაუზარდონ და კვირაში 40 ათასი გირვანქა გადაუხადონ. „ჯეიმი ბუნებით გამარჯვებულია და ძალიან მტკიცე ხასიათი აქვს. კარაგერი და ჯერარდი „ლივერპულის" მომავლის ფეხბურთელები არიან" — თქვა ბენიტესმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. ჩემპიონატი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 22:45 | 4 | პრესტონი-იფსვიჩი | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 5 | უიგანი-ლიდსი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-პლიმუთი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 18:00 | 7 | მილუოლი-სტოკი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 8 | ბრაიტონი-სანდერლენდი | 3.0 | 3.3 | 2.15 | 1.57 | 1.25 | 1.3 |
| 18:00 | 9 | რედინგი-ქოვენტრი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 11 | როტერჰემი-დერბი | 3.3 | 3.3 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 18:00 | 12 | ვულვერჰემპტონი-ჯილინგემი | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |

### ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 16 | კოლჩესტერი-ბრისტოლი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 17 | პიტერბრო-დონკასტერი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 18 | პორტ ვეილი-ჰარტლპული | 2.55 | 3.3 | 2.4 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 19 | ბრედფორდი-ლუტონი | 2.6 | 3.3 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 20 | ჰადერსფილდი-ბლეკპული | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 21 | ბარნსლი-ბორნმუთი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 22 | ჩესტერფილდი-უენსდი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 23 | ოლდემი-სტოკპორტი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 24 | ტორკი-სუინდონი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18:00 | 26 | ჰალი-რექსემი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 27 | უოლსოლი-დონსი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |

### ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 31 | ჩელტენემი-ოქსფორდი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 32 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 18:00 | 33 | ნოტსი-რაშდენი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 34 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 35 | ჩესტერი-იოვილი | 2.95 | 3.3 | 2.1 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 18:00 | 36 | როვერსი-ბოსტონი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 18:00 | 37 | ლინკოლნი-კემბრიჯი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 38 | უიკომბი-დარლინგტონი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 39 | სუონსი-გრიმსბი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 40 | შრუსბერი-კიდერმინსტერი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 41 | სკანთორპი-ლეიტონი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 42 | ბერი-მენსფილდი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 56 | ჰიბერნიანი-დანდი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 57 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 18:00 | 58 | მაზერუელი-ჰართსი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 59 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 18:00 | 60 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 15:30 | 61 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 62 | ქუინი-ფოლკირკი | 3.7 | 3.6 | 1.75 | 1.82 | 1.18 | 1.17 |
| 18:00 | 63 | ჰამილტონი-პარტიკი | 2.3 | 3.5 | 2.45 | 1.38 | 1.18 | 1.44 |
| 18:00 | 64 | ერდრი-რეითი | 1.5 | 3.8 | 5.0 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 18:00 | 65 | კლაიდი-როსი | 1.7 | 3.5 | 4.0 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 18:00 | 66 | სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი | 2.2 | 3.5 | 2.6 | 1.35 | 1.19 | 1.49 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 67 | სტირლინგი-ალოა | 1.85 | 3.5 | 3.4 | 1.21 | 1.19 | 1.72 |
| 18:00 | 68 | ფორფარი-არბროთი | 2.3 | 3.5 | 2.5 | 1.38 | 1.19 | 1.45 |
| 18:00 | 69 | სტრანრარი-ეარი | 1.6 | 3.6 | 4.5 | 1.1 | 1.18 | 2.0 |
| 18:00 | 70 | ბერიკი-ბრეჩინი | 4.5 | 3.8 | 1.55 | 2.06 | 1.15 | 1.1 |
| 18:00 | 71 | დამბარტონი-მორტონი | 2.75 | 3.5 | 2.1 | 1.53 | 1.19 | 1.31 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 72 | ქუინს პარკი-ალბიონი | 1.7 | 3.5 | 4.0 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 18:00 | 73 | ისტ ფაიფი-კოუდენბითი | 2.6 | 3.4 | 2.25 | 1.47 | 1.2 | 1.35 |
| 18:00 | 74 | სტენჰაუსმუირი-ისტ სტირლინგი | 1.5 | 4.0 | 4.6 | 1.09 | 1.13 | 2.13 |
| 18:00 | 75 | პიტერჰედი-ელგინი | 1.3 | 4.5 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.73 |
| 18:00 | 76 | გრეტნა-მონტროუზი | 1.15 | 6.5 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.93 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 17:30 | 77 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 2.9 | 3.3 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 17:30 | 78 | მაინცი-არმინია | 2.35 | 3.25 | 2.8 | 1.36 | 1.27 | 1.5 |
| 17:30 | 79 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.5 | 3.7 | 6.4 | 1.06 | 1.21 | 2.34 |
| 17:30 | 80 | ბაიერნი-დორტმუნდი0:1 | 2.2 | 3.8 | 1.95 | | | |
| 17:30 | 81 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.75 | 3.3 | 4.6 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| 17:30 | 82 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.65 | 3.55 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.05 |
| 17:30 | 83 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.7 | 3.35 | 4.85 | 1.12 | 1.25 | 1.98 |
| 17:30 | 84 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.3 | 3.3 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 19:30 | 85 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2.6 | 3.3 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.4 |
| 19:30 | 86 | შტუტგარტი-ჰერტა | 2.05 | 3.3 | 3.3 | 1.26 | 1.26 | 1.64 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 88 | ტრირი-ალენი | 1.95 | 3.2 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.7 |
| 21:00 | 89 | კარლსრუე-დინამო | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 21:00 | 90 | კოტბუსი-ესენი | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | 20 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 91 | ერფურტი-ფიურტი | 2.9 | 3.2 | 2.2 | 1.52 | 1.25 | 1.3 |
| 17:00 | 92 | ბურგჰაუზენი-ობერჰაუზენი | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:00 | 93 | აინტრახტი-საარბრიუკენი | 1.7 | 3.3 | 4.6 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 17:00 | 94 | აუე-უნტერჰახინგი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 17:00 | 95 | კიოლნი-ალემანია | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| | | 21 თებერვალი | | | | | | |
| 22:15 | 96 | დუისბურგი-მიუნხენი 1860 | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 115 | ტიროლი-ბრეგენცი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 20:00 | 116 | ადმირა-რაპიდი | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| 20:00 | 117 | შტურმი-ზალცბურგი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 20:00 | 118 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:30 | 119 | ავსტრია-გრაცერი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 15:30 | 120 | იანგ ბოისი-თუნი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:15 | 121 | სტ.გალენი-ბაზელი | 3.5 | 3.2 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 16:30 | 122 | აარაუ-ქსამაქსი | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 18:15 | 124 | ციურიხი-შაფჰაუზენი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 135 | მესინა-იუვენტუსი | 5.2 | 3.2 | 1.7 | 1.98 | 1.28 | 1.11 |
| 22:30 | 136 | მილანი-კალიარი | 1.3 | 4.5 | 9.5 | 1.0 | 1.14 | 3.05 |
| 22:30 | 137 | მილანი-კალიარი 0:1 | 1.7 | 3.3 | 3.5 | | | |
| 22:30 | 138 | უდინეზე-ინტერი | 3.3 | 3.0 | 2.2 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 139 | სიენა-ფიორენტინა | 2.3 | 2.8 | 3.3 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 17:00 | 140 | კიევო-ლაციო | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 141 | პალერმო-ლეჩე | 1.75 | 3.2 | 4.8 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 17:00 | 142 | რომა-ლივორნო | 1.45 | 3.8 | 7.1 | 1.04 | 1.2 | 2.47 |
| 17:00 | 143 | სამპდორია-რეჯინა | 1.8 | 3.0 | 4.9 | 1.12 | 1.31 | 1.86 |
| 17:00 | 144 | ატალანტა-ბოლონია | 2.85 | 3.0 | 2.45 | 1.46 | 1.31 | 1.34 |
| 17:00 | 145 | პარმა-ბრეშა | 1.85 | 3.0 | 4.6 | 1.14 | 1.31 | 1.81 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 147 | მოდენა-პესკარა | 1.7 | 2.9 | 5.5 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 148 | ემპოლი-პიაჩენცა | 1.7 | 3.0 | 5.0 | 1.08 | 1.26 | 1.87 |
| 17:00 | 149 | ასკოლი-კატანია | 1.9 | 2.8 | 4.0 | 1.13 | 1.28 | 1.64 |
| 17:00 | 150 | ტორინო-კროტონე | 1.4 | 3.6 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 2.48 |
| 17:00 | 151 | არეცო-ტერნანა | 2.1 | 2.7 | 3.7 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 152 | ტრევიზო-ტრიესტინა | 1.7 | 3.0 | 5.0 | 1.08 | 1.26 | 1.87 |
| 17:00 | 153 | ჩეზენა-ვენეცია | 1.75 | 2.9 | 5.0 | 1.09 | 1.29 | 1.83 |
| 17:00 | 154 | ბარი-ვერონა | 2.3 | 2.8 | 3.2 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 17:00 | 155 | კატანძარო-ალბინოლეფე | 2.15 | 2.9 | 3.3 | 1.23 | 1.3 | 1.54 |
| 22:45 | 156 | ვიჩენცა-ჯენოა | 2.55 | 2.7 | 2.8 | 1.31 | 1.33 | 1.37 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 157 | პერუჯა-სალერნიტანა | 1.65 | 3.1 | 5.5 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 177 | რეალი-ბილბაო | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 22:00 | 178 | რეალი-ბილბაო 0:1 | 1.9 | 4.1 | 2.25 | | | |
| 23:45 | 186 | სოსიედადი-სევილია | 2.45 | 3.3 | 2.6 | 1.4 | 1.26 | 1.45 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 180 | მალაგა-ესპანიოლი | 2.45 | 3.35 | 2.6 | 1.41 | 1.26 | 1.46 |
| 19:00 | 181 | ბეტისი-დეპორტივო | 2.15 | 3.1 | 3.25 | 1.26 | 1.29 | 1.58 |
| 21:00 | 182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.2 | 5.2 | 15.0 | 1.0 | 1.11 | 3.86 |
| 21:00 | 183 | ბარსელონა-მალიორკა 0:1 | 1.6 | 4.1 | 2.8 | | | |
| 19:00 | 184 | ალბასეტე-ნუმანსია | 1.65 | 3.4 | 5.2 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 19:00 | 185 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.05 | 3.3 | 3.3 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 19:00 | 187 | რასინგი-ვალენსია | 3.2 | 3.2 | 2.15 | 1.6 | 1.28 | 1.28 |
| 19:00 | 188 | ლევანტე-სარაგოსა | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 201 | მონაკო-ლიონი | 2.4 | 3.0 | 2.95 | 1.33 | 1.32 | 1.48 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 19:15 | 202 | სტრასბური-პსჟ | 2.6 | 2.9 | 2.75 | 1.37 | 1.33 | 1.41 |
| 22:00 | 203 | ტულუზი-ბორდო | 2.2 | 2.75 | 3.65 | 1.22 | 1.37 | 1.56 |
| 22:00 | 204 | კაენი-აიაჩო | 2.1 | 2.9 | 3.7 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 22:00 | 205 | ბასტია-მარსელი | 3.2 | 2.9 | 2.3 | 1.52 | 1.33 | 1.28 |
| 22:00 | 206 | ლანსი-ნანტი | 2.0 | 2.9 | 4.05 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 22:00 | 207 | რენი-ნიცა | 1.85 | 3.0 | 4.6 | 1.14 | 1.31 | 1.81 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 208 | ისტრი-ოსერი | 3.55 | 3.1 | 2.05 | 1.65 | 1.29 | 1.23 |
| 20:00 | 210 | მეცი-ლილი | 2.75 | 2.9 | 2.6 | 1.41 | 1.33 | 1.37 |
| 20:00 | 211 | სტ.ეტიენი-სოშო | 2.2 | 2.8 | 3.55 | 1.23 | 1.35 | 1.56 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 214 | ტრუა-ნიორი | 1.6 | 3.2 | 6.0 | 1.06 | 1.26 | 2.08 |
| 22:00 | 215 | სედანი-რეიმსი | 1.75 | 2.9 | 5.4 | 1.09 | 1.32 | 1.88 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 216 | ლავალი-ლე ავრი | 1.8 | 3.0 | 4.6 | 1.12 | 1.29 | 1.81 |
| 22:00 | 217 | დიჟონი-ამიენი | 2.05 | 2.7 | 3.9 | 1.16 | 1.34 | 1.59 |
| 22:00 | 218 | მონპელიე-კლერმონი | 1.75 | 3.0 | 5.0 | 1.1 | 1.29 | 1.87 |
| 22:00 | 219 | შატორუ-კრეტეი | 1.7 | 2.9 | 6.0 | 1.07 | 1.32 | 1.95 |
| 22:00 | 220 | გრენობლი-გენიონი | 2.1 | 2.8 | 3.5 | 1.2 | 1.31 | 1.55 |
| 22:00 | 221 | ანჟე-გენგამი | 2.4 | 2.8 | 3.0 | 1.29 | 1.33 | 1.41 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 21:15 | 222 | ლორიანი-ნანსი | 2.7 | 2.8 | 2.6 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22:15 | 223 | ბრესტი-ლე მანი | 2.4 | 2.9 | 2.85 | 1.31 | 1.3 | 1.43 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 224 | ლიერსი-ანდერლეხტი | 3.6 | 3.4 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 225 | გენტი-ბევერენი | 1.7 | 3.5 | 4.5 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 22:00 | 226 | მუსკრონი-ლუვიე | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 22:00 | 227 | შარლერუა-მონსი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 22:00 | 228 | ოსტენდე-სტ.ტრუიდენი | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 22:00 | 229 | ლოკერენი-სტანდარდი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:00 | 230 | გენკი-ვესტერლო | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 231 | ბრიუსელი-ბეერსხოტი | 2.3 | 3.4 | 2.6 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 22:00 | 232 | სერკლი-ბრიუგე | 7.5 | 4.5 | 1.3 | 2.81 | 1.1 | 1.0 |
| 22:00 | 233 | სერკლი-ბრიუგე 1:0 | 2.3 | 3.9 | 1.85 | | | |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 243 | როზენდალი-ტილბურგი | 2.65 | 3.3 | 2.4 | 1.46 | 1.25 | 1.38 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 244 | პსვ-ნაიმეგენი | 1.15 | 5.8 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.91 |
| 21:30 | 245 | პსვ-ნაიმეგენი 0:1 | 1.4 | 4.4 | 3.5 | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 14:30 | 246 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 2.85 | 3.2 | 2.25 | 1.5 | 1.25 | 1.32 |
| 16:30 | 247 | გრააფსხაპი-ჰერენვენი | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 16:30 | 248 | ვალვაიკი-ბრედა | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 16:30 | 249 | აიაქსი-დენ ბოსხი | 1.1 | 8.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.8 |
| 16:30 | 250 | აიაქსი-დენ ბოსხი0:1 | 1.25 | 4.6 | 4.3 | | | |
| 16:30 | 251 | ვიტესი-დენ ჰააგი | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 16:30 | 252 | ალკმაარი-როდა | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 16:30 | 253 | გრონინგენი-ტვენტე | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 22:15 | 267 | ნასიონალი-ბრაგა | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 23:45 | 271 | ბელენენსეში-პორტუ | 3.65 | 3.3 | 1.9 | 1.73 | 1.24 | 1.2 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 263 | ლეირია-სპორტინგი | 3.6 | 3.2 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 19:00 | 264 | ჟილ ვისენტე-აკადემიკა | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 265 | მარიტიმუ-ბეირა მარი | 1.55 | 3.45 | 6.0 | 1.06 | 1.23 | 2.19 |
| 21:45 | 266 | რიუ ავე-ბოავიშტა | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 269 | სეტუბალი-მორეირენსე | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 270 | ეშტორილი-პენაფიელი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 268 | ბენფიკა-გიმარაეში | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 2.2 | 3.1 | 3.1 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 328 | ცსკა-ბენფიკა | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:00 | 329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.75 | 3.2 | 4.4 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 22:30 | 330 | ბაზელი-ლილი | 2.4 | 3.1 | 2.7 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 22:30 | 331 | ალემანია-ალკმაარი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 20:30 | 332 | გრაცერი-მიდლსბრო | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 22:45 | 333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 22:45 | 334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 18:00 | 337 | ჩარლტონი-ლესტერი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 18:00 | 338 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.0 | 3.2 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 15:30 | 357 | არსენალი-შეფილდი | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 18:00 | 358 | ბოლტონი-ფულემი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 359 | საუთჰემპტონი-ბრენტფორდი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 16:40 | 335 | ბარნლი-ბლექბერნი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 336 | ნიუკასლი-ჩელსი | 4.0 | 3.2 | 1.8 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 18:00 | 360 | ტოტენჰემი-ნოტინგემი | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 345 | ესბიერგი-ორგორდენი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |
| 20:30 | 346 | გიოტებორგი-ტრომსიო | 1.6 | 3.6 | 4.7 | 1.1 | 1.19 | 2.03 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 347 | ბრანი-ოდენსე | 1.8 | 3.4 | 3.7 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 22:45 | 348 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 349 | ბრიონდბი'უ-კოპენჰაგენი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 22:30 | 350 | რ'უსენბორგი-ვოლერენგა | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 354 | კარაკასი-ბანფილდი | 2.55 | 3.1 | 2.4 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 400 | ლ'ულეო-ჰვ 71 | 1.95 | 4.2 | 2.2 | 1.33 | 1.03 | 1.44 |
| 21:00 | 401 | ფერიესტადი-ლინჩიოპინგი | 1.85 | 4.3 | 2.35 | 1.29 | 1.03 | 1.51 |
| 21:00 | 402 | მალმიო-ბრი'უნესი | 2.15 | 4.3 | 2.05 | 1.43 | 1.04 | 1.38 |
| 21:00 | 403 | ტიმრე-ფრიოლ'უნდა | 2.15 | 4.2 | 2.0 | 1.42 | 1.03 | 1.35 |
| 21:00 | 404 | მორა-ი'ურგორდენი | 2.1 | 4.2 | 2.05 | 1.39 | 1.03 | 1.37 |
| 21:00 | 405 | სიოდერტელიე-მოდო | 2.1 | 4.2 | 2.05 | 1.39 | 1.03 | 1.37 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 441 | ზლინი-ზნოიმო | 1.5 | 4.4 | 3.5 | 1.11 | 1.04 | 1.94 |
| 19:00 | 442 | ვიტკოვიცე-ტრ'ინეცი | 3.5 | 4.4 | 1.5 | 1.94 | 1.04 | 1.11 |
| 19:00 | 443 | ლიტვინოვი-კლადნო | 1.7 | 4.5 | 2.8 | 1.23 | 1.05 | 1.72 |
| 19:30 | 444 | პლზენი-ვსეტინი | 1.2 | 5.0 | 6.3 | 1.0 | 1.0 | 2.78 |
| 20:00 | 445 | ლიბერეცი-სლავია | 2.1 | 4.0 | 2.2 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 20:00 | 446 | პარდ'უბიცე-კარლოვი ვარი | 1.45 | 4.5 | 3.5 | 1.09 | 1.02 | 1.96 |
| 20:30 | 447 | სპარტა-დ'უკლა | 1.15 | 6.0 | 7.0 | 1.0 | 1.0 | 3.23 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 460 | კოშიცე-სლოვანი | 2.2 | 4.0 | 2.05 | 1.41 | 1.06 | 1.35 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 462 | პოპრადი-სკალიცა | 1.3 | 4.5 | 5.0 | 1.0 | 1.03 | 2.36 |
| 19:00 | 463 | ტრენჩინი-მიკ'ულაში | 1.25 | 4.8 | 5.5 | 1.0 | 1.01 | 2.56 |
| 19:00 | 464 | ნიტრა-დ'უბნიცა | 1.2 | 4.8 | 6.5 | 1.0 | 1.01 | 2.76 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 461 | ჟილინა-ზვოლენი | 2.3 | 4.0 | [illegible] | 1.46 | 1.09 | [illegible] |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 477 | ნი'ურნბერგი-ჰამბ'ურგი | 1.6 | 4.6 | 3.2 | 1.18 | 1.06 | 1.88 |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 478 | ვოლფსბ'ურგი-ინგოლშტადი | 2.3 | 4.3 | 2.0 | 1.49 | 1.06 | 1.36 |
| 21:30 | 479 | ა'უგსბ'ურგი-აისბარენი | 2.25 | 4.2 | 2.1 | 1.46 | 1.08 | 1.39 |
| 21:30 | 480 | კასელი-კიოლნი | 2.6 | 4.3 | 1.8 | 1.62 | 1.06 | 1.26 |
| 21:30 | 481 | დი'უსელდორფი-ფრანკფ'ურტი | 2.2 | 4.2 | 2.0 | 1.44 | 1.04 | 1.35 |
| 21:30 | 482 | იზერლონი-მანჰაიმი | 2.25 | 4.3 | 2.0 | 1.47 | 1.05 | 1.36 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 21:45 | 496 | სერვეტი-ლ'უგანო | 1.85 | 4.4 | 2.6 | 1.3 | 1.08 | 1.63 |
| 21:45 | 497 | დავოსი-ლოზანა | 1.3 | 4.8 | 5.0 | 1.02 | 1.03 | 2.44 |
| 21:45 | 498 | ცი'ურიხი-რაპერსვილი | 1.75 | 4.5 | 2.5 | 1.25 | 1.02 | 1.6 |
| 21:45 | 499 | ფრიბ'ურგი-ლანგნა'უ | 1.9 | 4.5 | 2.2 | 1.33 | 1.01 | 1.47 |
| 21:45 | 500 | კლოტენი-ამბრი | 1.9 | 4.5 | 2.2 | 1.33 | 1.01 | 1.47 |
| 21:45 | 501 | ც'უგი-ბერნი | 2.25 | 4.2 | 2.0 | 1.46 | 1.05 | 1.35 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **17 თებერვალი** | | | | | | |
| 13:00 | 514 | ხიმიკი-ავანგარდი | 2.4 | 4.5 | 1.9 | 1.56 | 1.06 | 1.33 |
| 13:00 | 515 | სიბირი-ნოვოკ'უზნეცკი | 2.6 | 4.3 | 1.8 | 1.62 | 1.06 | 1.26 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13328 | ცსკა-ბენფიკა | 1.7 | 1.9 |
| 13329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13330 | ბაზელი-ლილი | 1.7 | 1.9 |
| 13331 | ალემანია-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 13332 | გრაცერი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.8 | 2.0 |
| 14328 | ცსკა-ბენფიკა | 1.7 | 2.2 |
| 14329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.65 | 2.3 |
| 14330 | ბაზელი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 14331 | ალემანია-ალკმაარი | 2.0 | 1.8 |
| 14332 | გრაცერი-მიდლსბრო | 2.0 | 1.8 |
| 14333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 2.0 | 1.8 |
| 14334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.65 | 2.3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15328 | ცსკა-ბენფიკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15330 | ბაზელი-ლილი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15331 | ალემანია-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15332 | გრაცერი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.6 | 2.0 |
| 12328 | ცსკა-ბენფიკა | 1.6 | 2.0 |
| 12329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12330 | ბაზელი-ლილი | 1.6 | 2.0 |
| 12331 | ალემანია-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 12332 | გრაცერი-მიდლსბრო | 1.6 | 2.0 |
| 12333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.6 | 2.0 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.5 | 2.1 |
| 16328 | ცსკა-ბენფიკა | 1.35 | 2.5 |
| 16329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.3 | 2.8 |
| 16330 | ბაზელი-ლილი | 1.55 | 1.9 |
| 16331 | ალემანია-ალკმაარი | 2.1 | 1.5 |
| 16332 | გრაცერი-მიდლსბრო | 2.0 | 1.55 |
| 16333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 2.0 | 1.55 |
| 16334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.3 | 2.8 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ცსკა-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17330 | ბაზელი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ალემანია-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17332 | გრაცერი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 1.95 | 1.5 |
| 18328 | ცსკა-ბენფიკა | 1.9 | 1.7 |
| 18329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 1.8 | 1.7 |
| 18330 | ბაზელი-ლილი | 2.45 | 1.35 |
| 18331 | ალემანია-ალკმაარი | 3.2 | 1.2 |
| 18332 | გრაცერი-მიდლსბრო | 3.2 | 1.2 |
| 18333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.8 | 1.15 |
| 18334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.7 | 1.85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11328 | ცსკა-ბენფიკა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11330 | ბაზელი-ლილი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11331 | ალემანია-ალკმაარი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11332 | გრაცერი-მიდლსბრო | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 2.6 | 2.0 | 3.45 | 1.13 | 1.48 | 1.26 |
| 10328 | ცსკა-ბენფიკა | 2.25 | 2.0 | 4.3 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10329 | ფენერბაჰჩე-სარაგოსა | 2.15 | 2.0 | 4.5 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10330 | ბაზელი-ლილი | 2.9 | 2.0 | 3.1 | 1.18 | 1.49 | 1.21 |
| 10331 | ალემანია-ალკმაარი | 3.75 | 2.0 | 2.5 | 1.3 | 1.5 | 1.11 |
| 10332 | გრაცერი-მიდლსბრო | 3.65 | 2.0 | 2.6 | 1.29 | 1.51 | 1.13 |
| 10333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.7 | 2.0 | 2.55 | 1.29 | 1.5 | 1.12 |
| 10334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 2.15 | 2.0 | 4.3 | 1.03 | 1.43 | 1.36 |



ზურაბ ტომარაძე



ნუგზარ ჭეიშვილი

# ოვერტაიმი დიდი სხვაობის წინააღმდეგ

## ტექნიკოსებს ბურთი დაუმალეს



**ამ სეზონის** ყველაზე დრამატული მატჩი „დინამოსა“ და „სტუ-ჯეოსელს“ შორის გაიმართა პირველ წრეში და მაშინ ტექნიკოსებმა წყვილოვერტაიმიან ჯახში იმარჯვეს. ძნელი სათქმელია, იქნება თუ არა დამატებითი დრო ამ გუნდების დღევანდელ მატჩში, მაგრამ იმას კი წყალი არ გაუვა, რომ შეხვედრა დაძაბული იქნება. მიზეზთა გამო ჩემპიონატის მოწინავე სამეულსა („დინამო“, „ავიამშენი“, სტუ) და დანარჩენ გუნდებს შორის მოსალოდნელზე დიდი ზღვარია და ხსენებულ ტრიოს მატჩებს, თამამად შეიძლება ითქვას, ინტრიგა არ მოაკლდება. ჰოდა, ჩავუსხდეთ „დინამო“ — „სტუ-ს დღეს ვერის ბაღში, მანამდე კი საამმატჩო პრესკონფერენციაზეც შევიჭვრიტოთ, რომელიც გუშინ „სპორტკაფეში“ გაიმართა...

სანამ გუნდების მწვრთნელები ისაუბრებდნენ, ფედერაციის პრესატაშემ ზურაბ თალაკვაძემ გვამცნო, რომ პარასკევს საგანგებო პრესკონფერენციაზე საქართველოს კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებების ახალ მწვრთნელებს გაგვაცნობს. კანდიდატურები შერჩეულია და პარასკევს ყველაფერს წერტილი დაესმევა. ახალ მწვრთნელებს თავად ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი წარმოგვიდგენს.

სადღეისო მატჩის შესახებ კი სტუ-ს თავკაცმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** დაიწყო ლაპარაკი: „სადაც ჩვენ ვემზადებით, ის დარბაზი დაკავებულია და უვარჯიშებლები ვართ. ამიტომაც ტრავმირებულები არ გვყავს. ჩვენი ვარჯიში თამაშია, ოფიციალური მატჩებისას გვაქვს ბურთთან კონტაქტი, ისე კი, თეორიულად, იცოცხლეთ, ბევრს ვვარჯიშობთ. ვნახოთ, რა გამოვა და როგორ შეასრულებენ ჩემგან მიღებულ დარიგებებს „სტუ-ჯეოსელის“ მოთამაშეები.“

დარბაზის და კარგი პირობების პრობლემა არ აწუხებს, მაგრამ არც „დინამოა“ ისეთი ნავარჯიშევი, როგორც საჭიროა. მიზეზი ტრავმიანობაა — ახალმოშუშებული მოთამაშეები ფორმაში არ არიან.

**ზურაბ ტომარაძე,** „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი: „თითქმის ყველა ტრავმირებული გამოგვიჯანმრთელდა, ოღონდ ჯერ ფორმა ბოლომდე არ აქვთ აღდგენილი. შესაძლოა, ლაშა გამყრელიძემაც ითამაშოს, რომელმაც დღეს ივარჯიშა. ვეღი, რომ ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩი იქნება. ჩვენ ცხრილში პირველ ადგილზე გამაგრება გვსურს და სტუ-ს დამარცხებაც ამის კარგი საშუალებაა. ახლა უფრო მოღონიერებულები ვართ, ვიდრე ერთი კვირის წინ „ავიამშენთან“, არადა, ის თამაში სწორედ ფიზიკური მოუმზადებლობის გამო დავთმეთ. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე კი გადავიღალეთ და რამდენიმე იძულებითმა შეცვლამ უარყოფითად იმოქმედა. სტუ-სთან მატჩს უფრო მობილიზებულები ვხვდებით და იმედია, წარმატებასაც მივაღწევთ.“

მოთამაშეებმაც თქვეს ორიოდ სიტყვა... „მეტოქე მეტად გამოცდილი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული და იმაზე ლაპარაკი, რომ ძალიან რთული მატჩი გველის, ზედმეტად მიმაჩნია — განაცხადა „დინამოს“ ახალგაზრდა ფორვარდმა **ვიქტორ კოლუაშვილმა** — ჩვენ, რა თქმა უნდა, გამარჯვება გვინდა და ბოლომდე ვიბრძოლებთ.“

**გიორგი მარკოიშვილი,** სტუ-ს ფორვარდი: „დინამოსთან“ მატჩს თუ მთელი სერიოზულობით არ მოვეკიდეთ, შესაძლოა წავაგოთ. თუმც არც ისე გველის იოლი ბრძოლა და ეს ამ სეზონის აქამდელმა მატჩებმაც გამოაჩინა. ორი ოვერტაიმი იშვიათობაა და გეხსომებათ, სწორედ „დინამო“ — „სტუ-ს შორის მოხდა ეს.“

ბოლოს საინტერესო პროგნოზი გააკეთა ტექნიკოსთა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა — ან ჩვენ მოვიგებთ დიდი ანგარიშით და ან „დინამოო“. ვნახოთ...

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# გარანტირებული სიყვარული

## ჰილი ღელავს, ხალხს უხარია

— 15 თებერვალი —

**ატლანტა 96:100 დენვერი**

ატლანტა: უოლკერი (22 ქულა, 12 მოხსნა), დელკი (19)

დენვერი: ენტონი (22), კემბი (17 ქულა, 10 მოხსნა, 10 დაფარება), მარტინი (16), ჯონსონი (16)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ლეიკერსი 102:95 იუტა**

ლეიკერსი: ბრაიანტი (40), ეტკინსი (24), ბატლერი (23)

იუტა: ოქური (20), ჰარპრინგი (18), ბელი (16)

**მინესოტა 82:71 ნიუ ჯერსი**

მინესოტა: ოლოვოკანდი (17 ქულა, 12 მოხსნა), გარნეტი (17)

ნიუ ჯერსი: კარტერი (32), მერსერი (18), კიდი (11 ქულა, 14 პასი, 9 მოხსნა)

**ჰიუსტონი 123:93 ვაშინგტონი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (34), მინგი (23), ვესლი (18), ჰოვარდი (18)

ვაშინგტონი: ჯემისონი (23), ჰეიესი (21), ჰეივუდი (16)

**გოლდენ სტეიტი 107:114 დალასი**

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (26), კლაქსტონი (23), დანლივი (18)

დალასი: ნოვიცკი (35 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (24)

**ორლანდო 99:94 კლიპერსი**

ორლანდო: ჰილი (39), ფრენსისი (16)

კლიპერსი: ბრენდი (21 ქულა, 10 მოხსნა), საიმონსი (20)

**ჩიკაგო 107:102 საკრამენტო**

ჩიკაგო: კარი (25 ქულა, 12 მოხსნა), გორდონი (24), დენგი (15), ჰარინგტონი (15)

საკრამენტო: მილერი (23), ბიბი (21), მობლი (20), ვებერი (15)

გრანტ ჰილი ყოველთვის უყვარდათ კალათბურთის ქომაგებს. ოლ სტარისთვის ვარსკლავების შერჩევისას მას მაშინაც უჭერდნენ მხარს, როცა საოპერაციო მაგიდაზე იწვა და ცხადი იყო, ოლ სტარს კი არა, მთელ სეზონს გამოტოვებდა.

ახლაც აირჩიეს ოლ სტარისთვის და ჰილი ალბათ ითამაშებს კიდეც ამ კვირადღეს დენვერულ ვარსკვლავ-შოუში, მაგრამ მანამდე იმას ამტკიცებს, რომ ახლაც სამადლოდ არ აურჩევიათ. „ორლანდოს“ მოიერიშემ „კლიპერსთან“ შეხვედრაში 39 ქულა მოიხვეჭა და სეზონის რეკორდი დაამყარა. საერთოდაც რაც „ორლანდოშია“, ანუ 2000 წლიდან მას ამდენი არ შეუგროვებია. როდის უნდა შეეგროვებინა, სულ იმ წყეულ აქილევსის მყესს მკურნალობდა, რომელმაც ლამის კარიერა დაუნგრია.

ჰილმა „კლიპერსს“ თამაშში 16 ცდიდან 12 ბურთი ჩაუგდო, 16 საჯარიმოდან — 15 და ოთხი წელი მისი მომლოდინე ტრიბუნები გვარიანად ააყრიამულა. „მართლა განსაკუთრებული გრძნობაა — კმაყოფილობდა ნამატჩევს — მოედანზე იმას ვაკეთებ, რისი კეთებაც მსურს. კარგა ხანია, ეს არ განმიცდია.“

კმაყოფილების საბაბი კიდევ ერთ სუპერვარსკვლავს კობი ბრაიანტსაც აქვს. კობიმ ერთი თვე იუქმა — ჰილის არ იყოს, ისიც ქუსლმა შეაწუხა. მომჯობინებულმა კი უკვე მეორე თამაშში 40 ქულა გაჩარხა და მისმა „ლეიკერსმა“ „იუტას“ ბრძოლაში წაართვა მეტად საჭირო გამარჯვება. „ლეიკერსის“ ლიდერებმა ბრაიანტმა და კიდევ ორმა — ჩაკი ეტკინსმა და კერონ ბატლერმა იოლად დაჯაბნეს „იუტას“ ძირითადები, თუმც სტუმრებს სათადარიგოები მიეშველნენ და მოედანზე ცეცხლი დაანთეს. მეჰმეთ ოქურმა 20 ქულა მიახმარა „ჯაზსს“ და საერთოდ, სტუმართა სამარქაფოებმა 50:2 აჯობეს მასპინძელთა რეზერვისტებს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ბრაიანტის ჩაუქობამ გადაწყვიტა, ვინაც „ლეიკერსს“ ბოლო მეოთხედი 31:21 მოაგებინა და სტუმრები უპატივცემულოდ გაუშვა.

კიდევ ერთმა „სახალხო“ ვარსკვლავმა „ჰიუსტონის“ 203-სანტიმეტრიანმა გამთამაშებელ-მსროლელ-ფრთა ტრეისი მაკგრეიდიმ, მართლა, რაკეტასავით იფრინა და ტეხასელ „რაკეტებს“ 34 ქულა 9 პასი გაუხერხა ტრავმების გამო დაოსებულ „ვაშინგტონთან“ არათანაბარ ბრძოლაში. „ჰიუსტონმა“ მაკგრეიდის, იაო მინგისა და სხვათა მეცადინეობით პირველი ნახევარი 13 ქულით მოუგო დედაქალაქელებს და მესამე მეოთხედში ოდნავი მოდუნების შემდეგ ბოლო 12-წუთეულში 32:16 მოუთავა ხელი.

როგორც იქნა, გაწვალებულმა „მინესოტამაც“ გაიხარა და პირველი გამარჯვებით გაახარა საკუთარი თავის მწვრთნელად დამნიშნავი გენ-მენეჯერი კევინ მაკჰეილი. „მგლები“ მინეაპოლისში მასპინძლობდნენ მოღონიერებულ „ნიუ ჯერსის“ და სტუმარი ვინს კარტერისგან 32 ქულის ატანა მოუხდათ. მასპინძელთა გაუსაჩივრებელმა ლიდერმა კევინ გარნეტმა პირველ ტაიმში თამაშიდან ბურთი რაა, ისიც ვერ ჩააგდო, სამაგიეროდ, მეორეში გაშალა მკლავი, 17 ქულა გაშანსა და თავისიანებს ბოლო ათი თამაშიდან მეორეს მოგებაში შეეხიდა.

შარშან, შარშანწინ და კიდევ უფრო ადრე „ჩიკაგოს“ „საკრამენტო“ რომ დაემარცხებინა, გაზეთები დღის მთავარ სპორტულ სენსაციად გამოაცხადებდნენ ამ ამბავს, მაგრამ ახლა სხვა დროა და გვჯერა თუ არა, თამაში და მოგება დაჩაჩანაკებულმა „ბულზმაც“ ისწავლა. ახალბედა ბენ გორდონმა თავისი წილი 24 ქულიდან 11 მეოთხე მეოთხედში მოინაგრა და 1998 წლის თებერვლის, ანც პოსტჯორდანულ ეპოქაში პირველად დაამარცხა „კინგზი“. ეს პოსტჯორდანული ეპოქა კი „საკრამენტოსთან“ მიჯრით 11 მარცხს ითვლიდა.

**ბოტე ყორშია**



ძიუდო

# სუპერ ჰამბურგს სუპერები მოაკლდება



**ძიუდოს** საგაზაფხულო ტურნეს მასპინძლებში ამ უქმეებზე გერმანიაც გაერევა. ჰამბურგის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, წინამორბედთა მსგავსად, ამეირდან ახალი სახელი ერქმევა.

მოგეხსენებათ, ძიუდოს პირველკაცების გადაწყვეტილებით ევროპის ჩემპიონატამდელ დიდ პირველობებს მსოფლიოს თასისა და სუპერთასის ტიტულები დაურიგდათ. ამათგან ნახევარზე მეტი ძიუდოისტებმა უკანაც მოიტოვეს. დარჩენილთაგან კი ყველაზე პრესტიჟული სწორედ ჰამბურგისაა. მოსკოვისა და პარიზის ტურნირების დარად ისიც სუპერად დაფასდა.

შოთა ხაბარელის უმთავრესი საფიქრალი ამ პირველობების მიხედვით საევროპო შემადგენლობის შედგენაა. რამდენიმე წონაში უკვე თითქმის ყველაფერი გარკვეულია, თუმც ზოგან ისეთი კონკურენციაა, ალბათ ზედ ევროპის ჩემპიონატის წინ შევიტყობთ ნაკრების წევრთა ვინაობას.

ჰამბურგში ხაბარელმა ახალგაზრდა ძიუდოისტები იახლა. აქედან გამომდინარე თუ რომელიმემ ოქროს მედალი არ მოიგო, ვეჭვობთ, საევროპო გუნდის ჩამოყალიბებაში გერმანულმა სუპერთასმა რამე შეცვალოს. მწვრთნელის ჩანაფიქრი უფრო შორ პერსპექტივაზე მუშაობას ჰგავს, ნაკრების დაკომპლექტება კი 12-13 მარტს ჩასატარებელი ჩეხეთის თასისთვის გადაიდება.

გერმანული შემადგენლობიდან ევროგუნდში მოხვედრა თითქმის გარანტირებული მხოლოდ ირაკლი ცირეკიძეს (90კგ) აქვს. ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური რომ ევროპაზე არ იჭიდავებდა, ადრევე გაირკვა და თბილისის თასის დასრულების შემდეგ ხაბარელმა მის შემცვლელად ცირეკიძე დაგვისახელა. თითქმის გადაწყვეტილია, ირკლი ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებსო.

გამგაზავრების წინ მწვრთნელმა შეგირდების საევროპო შანსეზე საუბარი არ ისურვა. მხოლოდ ეს გვითხრა — ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდის ჩემეული ვარიანტი კი მაქვს, მაგრამ ჯერ ვერ გაგიმხელთ, წინ ერთი თვეა და სავსებით შესაძლებელია, მასში ცვლილებების შეტანაც დამჭირდესო. ყველა სადავო წონის ორ-ორი უმთავრესი კანდიდატი პრაღაში შეეცდება თავისი უპირატესობის დამტკიცებას და ხაბარელის საბოლოო გადაწყვეტილებაც სავარაუდოდ მარტის შუა რიცხვებში გვეცოდინება, „ევროპას“ კი 2-3 აპრილს ჰოლანდიური როტერდამი უმასპინძლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს ნაკრები |
|---|
| 60 კგ |
| დავით ასუმბანი |
| დავით სვიმონიშვილი |
| 66 კგ |
| მინდია ხომიზური |
| ზეზვა ებელაშვილი |
| 73 კგ |
| ოთარ ახალაია |
| 81 კგ |
| გრიგოლ შინჯიკაშვილი |
| გიორგი ბაინდურაშვილი |
| 90 კგ |
| ირაკლი ცირეკიძე |
| 100 კგ |
| გიორგი გუგავა |
| ლევან რაზმაძე |

რაგბი

# ჩვენი 22 ცნობილია

## უკრაინას სხვები შეერკინებიან



**26 თებერვალს** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშების პირველ საშინაო მატჩში თასის დებიუტანტ უკრაინას დაუხვდება. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ საამმატჩო სამზადისი უკვე დაიწყო. მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ მუხამ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა და ალბათ დღე-დღეზე მათგან თბილისში წამომსვლელებსაც შეარჩევს. ჩვენდა გასაკვირად, მუხას 35 რჩეულში მხოლოდ ერთი ლეგიონერი მოხვდა. უკრაინის ჩემპიონატში მობურთავეების გვერდით ჩეხურ „დრაგონში“ მოთამაშე ვიტალი მაზალცევი მოემზადება.

ბორჯღალოსნების თავკაცებმა — მალხაზ ჭეიშვილმა და დავით ჩავლეიშვილმა კი საუკრაინე ოცდაორი გუშინ გაამხილეს. თებერვლის დასაწყისში პორტუგალიაში წაყვანილი 22 კაციდან ახალ სიაში ჩვიდმეტი შევიდა. საგულისხმოა, რომ ხუთივე ცვლილება შერკინების ხაზში მოხდა.

ფაქტობრივად მთლიანად გადახალისდა პირველი ხაზი. მამუკა მაგრაქველიძის, დავით აშვეთიასა და გოდერძი შველიძეს საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერები — ავთანდილ კოპალიანი, ლევან ჯაველიძე და დავით ზერაქაშვილი შეცვლიან. ტრავმირებული ზურაბ მჭედლიშვილისა და ვიქტორ დიდებულიძის ადგილს კი ტრავმამოშუშებული ზვიად მაისურაძე და ვასილ კაცაძე დაიკავებენ.

ბორჯღალოსნების შეკრება თამაშამდე 8 დღით ადრე დაიწყება, სავარაუდოდ 21 თებერვალს კი ყველა ლეგიონერი უკვე თბილისში მოიყრის თავს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| ბორჯღალოსნები |
|---|
| შერკინება |
| ავთანდილ კოპალიანი |
| ლევან ჯაველიძე |
| დავით ზერაქაშვილი |
| აქვსენტი გიორგაძე |
| მიხეილ სუჯაშვილი |
| ილო ზედგინიძე |
| ლევან დათუნაშვილი |
| მამუკა გორგოძე |
| ბესიკ უდესიანი |
| ვასილ კაცაძე |
| ზვიად მაისურაძე |
| რატი ურუშაძე |
| უკანა ხაზი |
| ირაკლი აბუსერიძე |
| გიორგი კაჭარავა |
| თედო ზიბზიბაძე |
| ირაკლი გიორგაძე |
| ირაკლი მაჩხანელი |
| მახო უჯუკაშვილი |
| დავით კიკნაძე |
| ლექსო გუგავა |
| ბესიკ ხამაშურიძე |
| ოთარ ბარკალაია |

ჭადრაკი

# ვიეტნამში ჭადრაკია, ხოშიმინი ფულს გამოიღებს

**ვიეტნამის** ჭადრაკის ფედერაციას სურს, წლევანდელ მსოფლიოს თასს თავიანთ საპორტო ქალაქ ხოშიმინში უმასპინძლოს. ორგანიზატორთა გათვლით, გათამაშების ხარჯები მთელი საპრიზო ფონდიანად 2,5 მილიონი დოლარი დაჯდება. თანხის ნაწილს ქვეყნის ბიუჯეტი გამოვა, დანარჩენს კი ქალაქი ხოშიმინი. ვიეტნამელები იმედოვნებენ, რომ ფიდე მათ წინადადებას დათანხმდება და გათამაშებაში 10 ადგილობრივ სპორტსმენს დაუშვებს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რომელი მოჭადრაკეები ითამაშებენ მსოფლიოს თასზე. აქ მოსახვედრად მათ შესარჩევი ეტაპის გავლა მოუწევთ.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ნამდვილი მეფის მოლოდინში

## ილუმჟინოვი კასპაროვს თბილისში შეცვლის



გარი კასპაროვი



კირსან ილუმჟინოვი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის სანახევარფინალო მატჩს ფიდეს უზბეკ ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვსა და რეიტინგსის ლიდერ გარი კასპაროვს შორის აპრილის დასასრულსა და მაისის დასაწყისში თურქეთი უმასპინძლებს. ეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

შეხვედრა თავიდან დუბაიში იყო დაგეგმილი, თუმც საამიროების ყოფილ პრემიერ-მინისტრ რაფიკ ალხარირის გარდაცვალების გამო მათ გლოვა გამოაცხადეს და თამაში თურქეთში გადაიტანეს. ფიდე იმედოვნებს, რომ საპრიზო ფონდი 1,25 მილიონი დოლარიდან 1, 65-მდე აიწევს.

„ახალ, გაზრდილ საპრიზო ფონდს თურქეთის ხელისუფლება გვპირდება — აღნიშნა ილუმჟინოვმა — 26 თებერვალს თბილისში ფიდეს საბჭოს სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილებას გამოვიტანთ. ჩვენი პოზიცია უბრალოა: გაერთიანების პროცესი მივიყვანოთ ბოლომდე და საჭადრაკო სამყაროს ერთი ნამდვილი მეფე ჰყავდეს.“

კასპაროვ-კასიმჯანოვის წყვილში გამარჯვებული კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ, რუს ვლადიმერ კრამნიკს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ ფინალში თამაში კრამნიკმა შარშან შემოდგომაზე უნგრელ პეტერ ლეკოსთან ჭიდილში მოიპოვა.

ილუმჟინოვმა აღნიშნა, რომ კასპაროვმა ორგანიზატორებს ფინანსური გარანტიები და თანხის ნაწილი წინასწარ მოსთხოვა. ამან ისინი ცოტა დააბნია. ფიდეს თავკაცმა დაამატა, რომ მოჭადრაკეებმა წინასწარ ფული არ უნდა მოითხოვონ და საამისო არგუმენტიც მოჰყავს: ოლიმპიადაზე ან რომელიმე ჩემპიონატზე მონაწილე სპორტსმენები გათამაშების დამთავრებამდე არავითარ პრემიას არ იღებენო. ბოლოს ილუმჟინოვმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მატჩი თურქეთში აუცილებლად გაიმართება და თუ კასპაროვი კვლავ გაჯიუტდება, მას სხვა დიდოსტატით შეცვლის.

**ლაშა გეგეჭკორი**

აფროსნობა

# ვეშაპს ნუ ეხუმრებით

**სამხრეთ** აფრიკის უდიდესი იახტა „ტიმ შოშოლოზა“, რომელიც აფროსანთა ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრების, „ამერიკის თასის“ გათამაშებისთვის ემზადებოდა, ვარჯიშისას კეიპტაუნთან ყურეში უშველებელ ვეშაპს შეეჯახა.

როგორც სამხრეთ აფრიკის ტელევიზია იუწყება, ეკიპაჟის წევრებმა სერიოზული ტრავმები მიიღეს — შტურმანს დაუშავდა ხერხემალი, ერთ-ერთი მატროსი ანძიდან გადმოვარდა, ხოლო მეორე ბორტს მიღმა აღმოჩნდა.

საბედნიეროდ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ეს პირველი საზღვაო ავარია არაა, რომელშიც მთავარი როლი ვეშაპმა შეასრულა. მაგალითად, კალიფორნიელი მაიკ რეპი, რომელიც სან-ფრანსისკოდან იოკოჰამაში აფრიანი ნავით მარტოდმარტო სამოგზაუროდ წავიდა, სწორედ ზღვის უდიდეს ბინადარს შეეჯახა.

აღსანიშნავია, რომ მაშინ რეპი აპირებდა მსოფლიოს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ვეშაპთა განადგურების წინააღმდეგ, მაგრამ ბედის ირონიით, იგი სწორედ ვეშაპს შეეჯახა.

საერთოდ, ვეშაპებთან შეჯახება შესაძლოა დრამატულად დასრულდეს. ყოფილა შემთხვევები, როცა ვეშაპის შემწუხებელ იახტაზე ზღვის ბინადარს იერიში მიუტანია, ხოლო ამ გიგანტის კუდის დარტყმას ყველა საცურაო საშუალება ვერ უძლებს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# სტენლის თასი დაიტირეს

**ჰოკეის** სასიკვდილო აგონია კვლავაც გრძელდება. ამბობენ, ორშაბათს საბოლოოდ გადაწყდება ყველაფერიო. თუმცა, ასეთი ორშაბათები და ოთხშაბათები უკვე ბევრი იყო და საქმის შემობრუნებისა თითქმის აღარავის სჯერა. ყველაფერი კომედიას დაემსგავსა და გულშემატკივრები თუ სპეციალისტები მწარედ ხუმრობენ. ედმონტონში კანადელმა ჰოკეისტებმა, რომლებსაც ამ დაპირებებისა აღარ სჯერათ, აიღეს 2004-2005 წლების სეზონის ვეება სტენლის უძვირფასესი თასი, ასევე უძვირფასეს კუბოში ჩაასვენეს და ამგვარად სიცილ-ხარხარით დაიტირეს.

# მარიოს მსოფლიოს გვირგვინიც მოუნდა

**დიადმა** ჰოკეისტმა, „პიტსბურგის" მფლობელმა და მოთამაშემ მარიო ლემიემ გადაწყვიტა, წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატში ითამაშოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ნჰლ-ის სეზონი გაუქმდება. სენსაციური ამბავი „სუპერმარიოს" ინტერვიუთი შეიტყო საზოგადოებრიობამ, ცნობა კი პიტსბურგის „პსტგაზეტში" გამოქვეყნდა. „პირველ ყოვლისა, ვნახოთ, ჩატარდება თუ არა სეზონი, შემდეგ კი შესაძლებლობა მექნება საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღო. წლების განმავლობაში ზარალდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის დონე იმის გამო, რომ პარალელურად ნჰლ-ის პლეი ოფი მიმდინარეობდა. ახლა კი, თუ ხელს არაფერი შეუშლის, საერთაშორისო ჰოკეის მთავარ შეჯიბრებაში ყველა საუკეთესო მოთამაშე უნდა მონაწილეობდეს" — უთქვამს მარიოს.

აი, ახალგაზრდობაში კი... ლემიეს მსოფლიოს პირველობა დიდად არ ეხატებოდა გულზე. მხოლოდ ერთხელ, 1985 წელს (მაშინ 19 წლისა იყო) მოიპოვა მან ვერცხლის მედალი პრაღაში და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა, მომდევნო წლებში კი მსოფლიო ფორუმზე აღარავის უნახავს, მაშინაც კი, როცა „პიტსბურგი" პლეი ოფს მიღმა რჩებოდა.

ბოლო წლებში, როცა „პინგვინები" დასუსტდნენ, ლემიემ გაცილებით დიდი ინტერესი გამოამჟღავნა საერთაშორისო შეჯიბრებების მიმართ და 2002 წელს კანადის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად სოლტ ლეიკ სიტის ოქრო მოიგო, ხოლო შარშან მსოფლიოს თასის მფლობელიც გახდა. ასე რომ, მარიოს ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის გვირგვინიღა აკლია.

სხვათა შორის, ლემიემ ისიც თქვა, რომ ნჰლ-ის წლევანდელი სეზონი რომც ჩაიშალოს, ის მაინც არ დაასრულებს კარიერას.

# რუსული რაკეტა არბატს დაეცა



ანა კურნიკოვა და პაველ ბურე

**ცნობილი** რუსი ჰოკეისტის პაველ ბურეს სახელი კვლავ ამოტივტივდა პრესაში, ოღონდ „არასპორტული" მიზეზით...

„რუსულმა რაკეტამ" სარჩელი შეიტანა ჟურნალ „არბატ პრესტიჟ ტელეგიდის" წინააღმდეგ, რომელიც ცნობილი პარფიუმერული ქსელის გამოცემაა. ბურე ამტკიცებს, რომ ჟურნალმა ისეთი ამბები გამოაქვეყნა, რომელიც სინამდვილეს რა შეეფერება. მეტიც, მას დიდი მორალური ზიანი მიაყენა. პატივისა და ღირსების შელახვისთვის პაველი, არც მეტი, არც ნაკლები, 300 მილიონ რუსულ მანეთს ითხოვს.

საქმის არსი კი ასეთია: 2004 წლის 27 დეკემბერს გამოსულ საახალწლო ნომერში დაიბეჭდა წერილი „რუსული რაკეტა თავისუფალ ფრენაში". პუბლიკაცია ამცნობს საზოგადოებას, რომ ბურე მუდმივად ტრაბახობს თავისი მამაკაცური ღირსებებით. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ თითქოს საიდუმლოდ ამცნო მთელ სამყაროს, რომ სწორედ მან დააკარგვინა უბიწობა ანა კურნიკოვას.

ბურეს ადვოკატ დმიტრი რაგულინის განმარტებით, როცა სტატია გამოქვეყნდა, პაველი საერთაშორისო საბავშვო ტურნირის მომზადებით იყო დაკავებული და როგორც კი რუსეთში ჩავიდა, უმალვე შეიტანა სასამართლოში სარჩელი.

„პაველი არ გადაიფიქრებს და აუცილებლად მოითხოვს კომპენსაციას, მიუხედავად იმისა, შეეცდება თუ არა „არბატ პრესტიჟი" პრობლემის სხვაგვარად დარეგულირებას. ორი წლის წინ ზუსტად ასეთივე ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის პირველმა 500 ათასი მანეთი მიიღო ბულვარულ გაზეთ „ეგზაილისგან" — თქვა რაგულინმა.

ჟურნალის რედაქტორი ოლგა ლობანოვა თავს იმით იმართლებს, რომ ინტერნეტში გამოქვეყნებულ ცნობას ეყრდნობოდნენ და არც პირველები ყოფილან ამ საქმეში.

ისმება კითხვა, სარჩელი რატომ შეიტანა ბურემ და არა კურნიკოვამ. პასუხს ცნობილი მეჩოგნის პრესმდივანი იძლევა: „არ ვიცი, კაცია და გუნება. ზოგი ამას შეურაცხყოფად თვლის, ზოგი — არა. თუმც ეგებ კურნიკოვას არაფერი გაუგია ამ სტატიაზე. რაც შეეხება წინა სკანდალს გაზეთ „ეგზაილთან", მაშინ ანას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან იმ პროცესში არც მოსარჩელე იყო და არ მოპასუხე."

**სამველ ღარიბიანი**



# კიმი კორტზე

## კლაისტერს მარჯვედ ცემა არ დავიწყებია

| მემფისის საერთაშორისო ტურნირი<br>მაგარსაფარი<br>საპრიზო 665 ათასი $ |
|---|

**პირველი წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა) 6:3 6:4; **ვინს სპედია** (3, აშშ) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 7:5 6:2; **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — ირჟი ნოვაკი (4, ჩეხეთი) 6:4 6:0; **ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4 7:6 (7:1)

**ავსტრალიოსისა** და სანხოსეობის პირველ წრეში წაფორხილების შემდეგ ირაკლი ლაბაძემ წლის პირველი გამარჯვება მემფისობის პირველ წრეში მიითვალა. დაძაბულ ბრძოლაში, თუმც მაინც სეტისწაუგებლად მან 33 წლის შვედ იონას ბიორკმანს აჯობა და ამით მასზე შარშან ცინცინატიში ნაწვნევი მარცხისთვის იძია შური. ახლა ქართველი 28 წლის ამერიკელ ჟან-მაიკლ გემბილს შეერკინება, რომელმაც პირველ წრეში გამოცდილი ჩეხი ირჟი ნოვაკი მოდრიკა და რომელთანაც ჩვენიანს აქამდე არასოდეს უჩოგნავია.

| PROXIMUS DIAMOND GAMES<br>ანტვერპენი. ღეკობუსნო<br>საპრიზო 585 ათასი $ |
|---|

**პირველი წრე**

**კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:2 6:3; **ნადია პეტროვა** (5, რუსეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:4 6:1; **კლარა კუკალოვა** (ჩეხეთი) — ნატალი დეში (6, საფრანგეთი) 7:6 (9:7) 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — კაროლინა შპრემი (8, ხორვატია) 7:5 6:3; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:1

**დიდ** კორტს მოუბრუნდა შარშანდელი ოქტომბრის მერე უთამაშებელი კიმ კლაისტერსი და პირველივე შეხვედრაში ისე დამაჯერებლად გაირჯა, თითქოს ერთი კვირაც არ გამოეტოვებინოს. 21 წლის კიმი, ვისაც ლამის მთელი წინა სეზონი მარცხენა მაჯის ტრავმიანობის გამო გაუცდა, ხორვატ ელენა კოსტანიჩს ერთობ უპრობლემოდ მოერია და ნამატჩევს ჰკვირობდა, ყველაფერი ასე იოლად თუ გამომივიდა არ ველოდიო. შეგახსენებთ, რომ კიმი ტურნირის შარშანდელი ჩემპიონია.

# სერენაც სხვებთან ერთად გაიხდის



**სხვა** სახელოვანი და ბარაქიანი მდედრების დარად შიდსით დაინფიცირებულთა დასახმარებლად გაშიშვლება გადაწყვიტა სერენა უილიამსმაც. სერენას, ვიქტორია ბექემის, მეორე ნასპაიზგერლზალ ჯერი ჰოლიველის, იორკის ჰერცოგა სარა ფერგიუსონის, მომღერალ კრისტინა აგილერას, მოდელ კეიტ მოსისა და სხვათა ამხურუშებელი ფოტოები ამა წლის მაისში ერთ წიგნად გამოიცემა და შიდსით დაინფიცირებულებსაც სწორედ ამ პროექტიდან შემოსული თანხა გადაერიცხებათ. მთელი ამ ამბის ორგანიზატორი კი განთქმული ბრიტანელი მეროკე ელტონ ჯონი ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS საუთპორტიდან

# ვატერლოოს თასის ბოლო ყურცქვიტა

1836 წლიდან და დღემდე: ინგლისში გრეიჰაუნდების კურდღელზე ნადირობის განთქმული ჯილდო ვატერლოოს თასი თამაშდებოდა. ოდესღაც ამ შეჯიბრს უამრავი ხალხი ესწრებოდა და მონადირეთა უმთავრეს გართობადაც ითვლებოდა. ახლა კი თქვენ ხედავთ უკანასკნელ საბრალო ყურცქვიტას, მადევრებმა რომ გაგლიჯეს. 18 თებერვლიდან ინგლისში ასე ველარავინ ინადირებს, ახალი კანონი შედის ძალაში და ვატერლოოს თასის პატრონებმაც ბოლო შეჯიბრი მოაწყვეს საუთპორტის მინდორზე.





REUTERS საუთპორტიდან



REUTERS ჩიკაგოდან

# სერჯანტესის კოცნა

ამ ჯეილს სერჯანტესი ჰქვია და ჩიკაგოს ავტომოტუზე წმინდა ვალენტინის დღეს სწორედ კოცნით გამოიჩინა თავი. სერჯანტესი 7 საათისა და 43 წუთის განმავლობაში ტუჩებით მიკვროდა „დოჯ დაკოტას" საუცხოო მოდელს. ვერცერთმა კონკურენტმა ამდენ ხანს ვერ გაუძლო და, შესაბამისად, ხსენებული „დოჯიც" სერჯანტესს დარჩა. ამასთან, შეჯიბრის ყოველი საათის თავზე „დოჯის" უფროსობა 1000 დოლარს ურიცხავდა „ამერიკის გულის ასოციაციას".

# შუმის ძაღლი

ეს ძაღლი კი მართლაც მეფესავით ცხოვრობს. ასეა, როცა შენს პატრონს შუმი ჰქვია. მეფორმულეთა რამდენიმე გუნდი, მათ შორის კი „ფერარიც", ბარსელონის მონტმელოზე შეკრებილა და ტესტაობს.



REUTERS მონტმელოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge